პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 72 (11985)

სამშაბათი, 28 მარტი. 1961 წ.

ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის ელჩი მენონი

27 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის ელჩი კ. პ. შ. მენონი მისი თხოვნით და ესაუბრა ლაოსის საკითხზე.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ვ. ი. ლიხაჩოვი.

ყამირის ათვისების ახალი ეჭვაკი და ყაზახეთის სოფლის მეურნეობის ამოცანები

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ქალაქ ალმა-ატაში 1961 წლის 21 მარტს

(დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 71).

რას გვიჩვენებს საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალში“ მეურნეობის გაძღოლის გამოცდილება

ამხანაგებო! ყამირის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე გამოსვლისას მე მოვიყვანე სპეციალისტთა გაანგარიშებანი, რომლებიც ადასტურებენ, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ოლქებში შეიძლება ვაწარმოოთ 75 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით ას ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი ას ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

ამ გაანგარიშებისადმი, ბუნებრივია, დიდი ინტერესი გამოიჩინეს თქვენი რესპუბლიკის სამხრეთი ოლქების სოფლის მეურნეობის მუშაკებმაც, სადაც მოჰყავთ ბამბა და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურები სარწყავ მიწებზე. მოწინავე მებამბეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლმეურნეებსა და მუშებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებსა და სხვა სპეციალისტებს სწორად მიაჩნიათ, რომ მებამბეობის მეურნეობებში ხორცის წარმოების გადიდების დიდი რეზერვებია. ბამბის თესლბრუნვაში სარწყავი მიწების სწორად გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს ბამბის წარმოების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გავადიდოთ საკვების წარმოება.

ამ მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენს სამხრეთ ყაზახეთის ოლქის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობის „პახტა-არალის“ სპეციალისტთა გაანგარიშება ხორცის წარმოების შესახებ.

საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, თუ რა რაოდენობით უნდა ჰქონდეს ხორცი საბჭოთა მეურნეობას, რამდენი უნდა თესოს სიმინდი, იონჯა და სხვა კულტურები იმისათვის, რომ აწარმოოს 75 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით ას ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი ას ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

სწორედ მე ვთხოვე ამხ. კულიკოვს —საბჭოთა მეურნეობის დირექტორს — გაეკეთებინა ასეთი გაანგარიშება იმის გამოსარკვევად, რომ შეძლებენ თუ ვერა შუა აზიის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელთა ძირითადი მიმართულება მებამბეობაა, შეიტანონ თავიანთი ღირსეული წვლილი ხორცის წარმოების გადიდებაში.

აი ეს გაანგარიშებანი, რომლებიც მინდა გაგაცნოთ.

საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალს“ აქვს 10.880 ჰექტარი სახნავი და 8.700 ჰექტარი სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

მეურნეობაში არის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 1.600 სული, აქედან 504 ძროხა, აგრეთვე 13.507 ცხვარი, 564 ღორი და 590 ცხენი.

როცა ამდენი სახნავი და სხვა სავარგულები აქვს, საბჭოთა მეურნეობას შეუძლია აწარმოოს ხორცი (დაკლული წონით): სახნავზე გაანგარიშებით — 8.200 ცენტნერი და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით — 1.400 ცენტნერი, ხოლო სულ 9.600 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით, ანუ 75 ცენტნერი ას ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი ას ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

კონკრეტული პირობების გათვალისწინებით საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტებს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ ხორცის შემდეგი სტრუქტურა:

ძროხის ხორცი — 4.950 ცენტნერი, ანუ 52 პროცენტი.

ცხვრის ხორცი — 3.520 ცენტნერი, ანუ 36 პროცენტი.

ღორის ხორცი — 1.130 ცენტნერი, ანუ 12 პროცენტი.

აქ მართებულია შევნიშნო, რომ ღორის ხორცს საბჭოთა მეურნეობაში ჯერჯერობით ცოტას აწარმოებენ. ახლა უნდა შევისწავლოთ და გამოვიმუშაოთ მეღორეობის წარმოების რაღაც ნორმატივები. უნდა განვსაზღვროთ, რა საკვები, რა თანაფარდობით დაგვჭირდება ღორის გასასუქებლად, რომ მივიღოთ ბეკონი, ღორის ხორცი ან ქონი. უნდა გამოიანგარიშოთ ცენტნერი კარაქის მიღებისა და ცენტნერი ღორის ქონის ან გადამდნარი ქონის მიღების ხარჯები.

თქვენ იცით, რომ ქონს ბევრი ხმარობს, ხოლო არც თუ ისე ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც კარაქს გადამდნარი ქონი ურჩევნიათ. ქონის ნოყიერება და კალორიულობა მაღალია, ხოლო ქონის წარმოების დანახარჯები მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე კარაქის წარმოებისა.

დავუბრუნდები იმას, თუ როგორი გაანგარიშებაა საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალში“. როგორ წყდება ის ამოცანა, რომ საკვებით უზრუნველყოონ პირუტყვი ხორცის ზემოაღნიშნული რაოდენობის საწარმოებლად.

წლევანდლამდე საბჭოთა მეურნეობაში სასილოსე სიმინდს 354 ჰექტარი ეჭირა. მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით იგეგმება სასილოსე სიმინდი დათესონ 900 ჰექტარზე და ჰექტარზე მოიყვანონ 400 ცენტნერი, ანუ 100 ცენტნერი საკვები ერთეული. ეს შესაძლებლობას მისცემს აწარმოონ 4.000 ცენტნერი ძროხის ხორცი, ანუ ამ ხორცის მთელი რაოდენობის 80 პროცენტი. სამარცვლე სიმინდის ღეროების სილოსის, აგრეთვე იონჯის გამოყენებით აწარმოებენ 950 ცენტნერ ძროხის ხორცს, ანუ დანარჩენ 20 პროცენტს.

მხედველობაში აქვთ 1.130 ცენტნერი ღორის ხორცი დაკლული წონით აწარმოონ სიმინდის მარცვლის, იონჯის, აგრეთვე სიმინდის ჭყინტლი და ბაზი ტაროს გამოყენებით. ცხვრის ხორცს საბჭოთა მეურნეობაში აწარმოებენ ბუნებრივი საძოვრების, იონჯისა და სიმინდის სილოსის გამოყენებით.

საბჭოთა მეურნეობას განზრახული აქვს გარდა ამისა აწარმოოს 60 ათასი ცენტნერი რძე, ანუ 300 ცენტნერი ყველა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ას ჰექტარზე. რძის წარმოებას სავსებით უზრუნველყოფენ საკუთარი საკვებით.

საბჭოთა მეურნეობაში იქნება რვამინდვრიანი თესლბრუნვა: ბამბის ხუთი მინდორი, სიმინდის ერთი მინდორი და იონჯის ორი მინდორი.

საბჭოთა მეურნეობა მეცხოველეობის საჭიროებისათვის გაადიდებს საკვების წარმოებას და ამასთან ერთად უზრუნველყოფს ბამბის წარმოების ზრდას, უმთავრესად მოსავლიანობის გადიდებით.

საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალმა“ და მისმა ხელმძღვანელებმა ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ გამოიანგარიშეს და სახავენ მკვეთრად გაადიდონ ხორცის წარმოება და ამით აჩვენებენ კარგ მაგალითს სხვა მებამბეობის მეურნეობებს. ამავე დროს მინდა გამოვთქვა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელების მიმართ.

მე დიდი ხანია ვიცნობ საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ვ. ნ. კულიკოვს და დიდ პატივს ვცემ მას. იგი მცოდნე ადამიანია, წარმოების კარგი ორგანიზატორია. ბევრი როდია მსხვილი მეურნეობა, რომელსაც საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალზე“ ბამბის მოსავლიანობაში უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდეს. თუ პირველი არა, პირველთაგანი მაინც არის. დამულჩულ ნიადაგში ბამბის თესვის გამოცდილება და უფრო თანამედროვე წესით მორწყვა, რაც ამხ. კულიკოვმა გვიამბო, დიდად საინტერესოა.

და მაინც, მიუხედავად ამ წარმატებებისა, მინდა გავაკრიტიკო საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები. **(გამოცოცხლება დარბაზში).** იტყვით, რატომო. ჯერ ერთი, საჭიროა არსებითად გავაკრიტიკოთ ნაკლოვანებებისათვის მეურნეობის გაძღოლაში, და, მეორე, ეს შესაფერისი „ობიექტია“ კრიტიკისათვის, როგორც მსხვილი მეურნეობა, რომელსაც დიდი შესაძლებლობები აქვს. სუსტის გაკრიტიკება უფრო ადვილია, მაგრამ გააკრიტიკებთ და მას მუხლები ჩაეკეცება, ვაი თუ წაიქცეს. **(სიცილი დარბაზში).** ხოლო ამხ. კულიკოვი შეიძლება გააკრიტიკო და არ გეშინოდეს, რომ მუხლები ჩაეკეცება. იგი ძლიერი ხელმძღვანელია და კრიტიკა დაეხმარება უფრო ძლიერი გახდეს.

მაგრამ რომ არ გაყოყოჩდეს, მინდა გურჩიო ამხ. კულიკოვს ჩაეწეროს პირველ კლასში და ისწავლოს ზოგიერთი კულტურის. მაგალითად, სიმინდის თესვა-მოყვანა იმ მუშაკებისაგან, რომლებსაც უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ.

კრიტიკა რომ კონკრეტული იყოს, ციფრებით განვამტკიცებ მას. ნათესი ფართობების მოსავლიანობა და სტრუქტურა 1960 წელს საბჭოთა მეურნეობაში ასეთი იყო: ბამბა — 5.693 ჰექტარი, მოსავალი — 30.6 ცენტნერი ჰექტარზე; სამარცვლე სიმინდი — 10 ჰექტარი, მოსავალი — 27,4 ცენტნერი ჰექტარზე.

რა შემიძლია გითხრათ, ამხ. კულიკოვ, სიმინდის ასეთ მოსავალზე. თქვენ მოისმინეთ თქვენი მეზობლების გამოსვლა, მათ უკვე გიპასუხეს. ეს სამარცხვინოდ მცირე მოსავალია. დათესა სასილოსე სიმინდი 354 ჰექტარი, მოსავალი — 242 ცენტნერია ჰექტარზე.

ამხ. კულიკოვ, ამ ციფრებისათვის რომ დუმილით ამევლო გვერდი, ადამიანებს ვეღარც კი დავენახვებოდი. ისინი იტყოდნენ: რას გაჩუმებულხარ, როცა მოწინავე საბჭოთა მეურნეობას, რომელიც არაერთხელ დაგისახელებიათ მაგალითად სხვებისათვის, სარწყავ მიწებზე, ამასთან ისეთ მზიან მხარეში, როგორიც სამხრეთი ყაზახეთია, 242 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა მოჰყავს ჰექტარზე ნათლიმამობა ხომ არა გაქვთ მათთან? **(სიცილი. ტაში).**

იონჯა საბჭოთა მეურნეობაში დათესილია 2.976 ჰექტარი, მოსავალი — 68 ცენტნერი ჰექტარზე. ბრინჯი — 25 ჰექტარი, მოსავალი — 48 ცენტნერი ჰექტარზე. ვფიქრობ, ეს საშუალო მოსავალია, ხომ მართალია? ამ მოსავალს რომ კარგი ვუწოდოთ, როგორღა შევაფასოთ ყაზახი მებრინჯის იბრაი ჟაჰაევის წარმატებანი, რომელსაც ჰექტარზე მოჰყავს 80 ცენტნერი ბრინჯი, ხოლო ცალკეული ნაკვეთების ჰექტარზე 170 ცენტნერიც კი. ეს ნამდვილად კარგი მოსავალია, ხოლო თქვენს საბჭოთა მეურნეობაში, ამხ. კულიკოვ, საშუალო მოსავალია.

სუდანურა საბჭოთა მეურნეობაში 28 ჰექტარი ითესება, მწვანე მასის მოსავალია 136 ცენტნერი ჰექტარზე. ბოსტნეულ-ბაღჩეულს უკავია 65 ჰექტარი, მათი მოსავალია 300 ცენტნერი ჰექტარზე. ეს ძალიან ცოტაა.

კარტოფილი — 74 ჰექტარი. მოსავალი — 54 ცენტნერი ჰექტარზე. აქ გამოვიდა მოსწავლე გოგონა. მისმა რგოლმა 100 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანა ჰექტარზე **(ტაში)**, საბჭოთა მეურნეობამ კი — 54 ცენტნერი.

ძალიან უცნაურია, მაგრამ საბჭოთა მეურნეობაში „პირველი სიდიდის“ კულტურა აღმოჩნდა შვრია. სარწყავ მიწებზე დათესა 220 ჰექტარი, მოსავალი კი 18 ცენტნერი მიიღეს ჰექტარზე. განა ეს მოსავალია?

საბჭოთა მეურნეობაში არის ფერმის თესლბრუნვაც, რომლის მინდვრებზე ითესება იონჯა, სუდანურა, სიმინდი სასილოსედ. ამ კულტურების საერთო ფართობია 455 ჰექტარი, ხოლო მწვანე მასის მოსავალი 200 ცენტნერია ჰექტარზე.

საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალი“ და მისი დირექტორი ამხ. კულიკოვი ცნობილია ჩვენს ქვეყანაში. ამ მეურნეობას კარგი სახელი აქვს. მაგრამ აი სიმინდის თესვა-მოყვანის შედეგები სულ არ შეესაბამება ამ სახელს. და ყველაზე საშინი ის არის, რომ ხელმძღვანელებს. ეტყობა, არ ესმით სიმინდის შესაძლებლობანი. თორემ რით უნდა აიხსნას, რომ ისინი პერსპექტიულ ადგილებში, სადაც გეგმავენ 400 ცენტნერი სასილოსე სიმინდი მოიყვანონ სარწყავი მიწების ჰექტარზე.

არა, ამხ. კულიკოვ, აქ მე და თქვენ, როგორც იტყვიან, ვერ მოვიგვიანებთ, ამ საფუძველზე მეგობრობა არ შეიძლება იყოს. ასე რომ დაგჭირდებათ გარდაიქმნათ, დარწმუნებული ვარ თქვენ ამას შეძლებთ, ცოდნა გაქვთ და ნებისყოფაც გაქვთ. გვიჩვენეთ ისეთი კარგი მაგალითი სიმინდში, როგორიც ბამბაში გვიჩვენეთ.

მინდა ზოგიერთი მეურნეობანი შევადარო ერთმანეთს სიმინდის მოსავლიანობით. ამ შედარებით უკეთ დაინახავთ თქვენს შესაძლებლებს.

საბჭოთა მეურნეობამ „პახტა-არალმა“ 242 ცენტნერი სასილოსე სიმინდის მასა მოიყვანა ჰექტარზე, კოლმეურნეობა „აღმოსავლეთის სხივმა“ — თავმჯდომარე ვ. დ. დიდკოვსკი — 417 ცენტნერი ჰექტარზე, ეს, რა თქმა უნდა, 242-ზე მეტია. მაგრამ მაინც ძალიან ცოტაა. ამავე დროს ეს ხომ სარწყავი მიწებია, ყაზახეთის საუკეთესო მიწები. აი ტრაქტორისტმა ყაზიბეგ ჟაპაროვმა (ყამირის მხარე) შარშან 660 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა ურწყავად ყამირის მხარის მიწებზე, ხოლო 1961 წლისათვის ვალდებულება იკისრა 700 ცენტნერი მოიყვანოს ჰექტარზე. ეს, ამხანაგებო, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია. სიმინდი მისთვის სრულიად ახალი კულტურაა, მაგრამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს და მშვენიერი მოსავალი მოიყვანა.

დასასრულ, თქვენ ყველამ მოისმინეთ უზბეკეთის რესპუბლიკის კოლმეურნეობა „პოლიტგანყოფილების“ თავმჯდომარის ამხანაგ მ. გ. ხვანის გამოსვლა. ამ კოლმეურნეობამ 1850 ცენტნერი ტაროიანი სიმინდი მოიყვანა ჰექტარზე და სიმინდის ალების შემდეგ იმავე მიწებზე 300 ცენტნერი ბოლოკი მიიღო ჰექტარზე როგორც განმეორებითი კულტურა. **(ტაში).**

ჩაუფიქრდით, ამხ. კულიკოვ, ამ ციფრებს და თვითონვე გამონახეთ ანსნა. ამასთანავე, გაიხსენეთ, რომ ნოვოსიბირსკში თათბირზე გამოვიდა ტრაქტორისტი ა. გ. ლისიჩნიკოვი (ჩიტა). ჩიტის ოლქის პირობებში, საკმაოდ სუსხიან მხარეში, მან ასი ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მოიყვანა 1.100 ცენტნერი სიმინდის სასილოსე მასა. **(ტაში).** 1961 წელს კი ამხ. ლისიჩნიკოვმა გადაწყვიტა 1.200 ცენტნერი მოიყვანოს ჰექტარზე. ამხანაგებო, განა ეს ჩვენი ადამიანების გმირობა არ არის? ისინი ავლენენ რეზერვებს, ცხადყოფენ უდიდეს შესაძლებლობებს! აი ასეთ სიმაღლეებს უნდა ესწრაფოდეთ! დიდება ასეთ ადამიანებს! **(ტაში).**

მე ვაკრიტიკებ ამხ. კულიკოვს, მაგრამ ზოგ სხვასაც არა აქვს უკეთესი შედეგები სიმინდში. გამოიტანეთ თქვენი დასკვნა, ამხანაგებო.

ამხ. კულიკოვმა დათესა სიმინდი და დაივიწყა იგი, ზურგი შეაქცია, სიმინდი კი, როგორც ცნობილია. ძალიან მომთხოვნი კულტურაა, მას არა სურს ზურგს უყუროს და ასეთი უპატივცემლობის პასუხად თვითონაც ზურგი შეაქცია. **(სიცილი დარბაზში).** ამხ. ხვანთან, კოლმეურნეობა „პოლიტგანყოფილების“ კოლმეურნეებთან კი სიმინდი სხვანაირად იქცევა. კოლმეურნეები პირით უყურებენ სიმინდს და სიმინდიც პირით უყურებს კოლმეურნეებს და ჰექტარზე 1.850 ცენტნერი მოსავალი მისცა მათ **(ტაში)** და არა 242 ცენტნერი, როგორც საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალში“.

ამხ. კულიკოვ, კარგად მოუარეთ ამ მინდვრის დედოფალს და იგი მადლობას გადაგიხდით.

მინდა ზოგიერთი შენიშვნა გავაკეთო ამხ. ხვანის გამოსვლის გამო. რეპლიკაში უკვე ვთქვი, რომ თუ კოლმეურნეობა სიმინდის შეხშირების გზას დაადგა, ბევრს წააგებს. ჩვენ შედეგები უნდა შევაფასოთ არა მარტო სასილოსე მასის რაოდენობის მიხედვით, არამედ მისი ხარისხის მიხედვითაც, იმის მიხედვით, თუ რამდენი ტაროა სიმინდში. რაოდენობა ზოგჯერ მთლიანად როდი ასახავს ნამდვილ წარმატებას. თუ შეხშირებული ნათესები გექნებათ, შეგიძლიათ მიიღოთ რამდენადმე მეტი მწვანე მასა, მაგრამ ტარო ნაკლები იქნება, საბოლოო ანგარიშით საკვები ერთეულიც ნაკლები იქნება ჰექტარზე გაანგარიშებით.

თქვენ კარგი ოსტატები ხართ, ყველას აჯობებს, თუ მოახდენთ სხვადასხვა ექსპერიმენტს და მაშინ აწონდაწონით, შეაფასებთ, რომელი კვადრატი უფრო ეფექტიანია და -რამდენი მცენარე სჯობს ბუდეში. იქნებ ვსინჯოთ და ვთესოთ სიმინდი 70×70 და 80×80 სანტიმეტრზე. ამასთან შეიძლება გვქონდეს 1-2 მცენარიანი ბუდეები. მაგრამ ცდებში უნდა ჩავაბათ ლაბორატორიის მუშაკები იმ მიზნით, რომ ეს გაკეთდეს მეცნიერულ საფუძველზე, მოვახდინოთ ანალიზი, რათა გამოვარკვიოთ, რამდენს შეიცავს სახამებელს, პროტეინს (ცილას), მშრალ ნივთიერებებს. შედარებითი მონაცემების საფუძველზე შეგეძლებათ სწორად შეაფასოთ სიმინდიდან თესვა-მოყვანის საუკეთესო მეთოდების ღირსებანი.

მინდა ვუთხრა ამხ. კულიკოვს, რომ ისევე შეიყვაროს სიმინდი, როგორც ბამბა. საბჭოთა მეურნეობაში იციან ბამბის თესვა-მოყვანა, და ეს საქებურია, მაგრამ სასილოსე სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანა ჯერ კიდევ არ უსწავლიათ.

ვფიქრობ, რომ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები გამოსწორდებიან, გვიჩვენებენ, რომ მათ შესწევთ უნარი მოიყვანონ არა მარტო ბამბის, არამედ აგრეთვე სიმინდის უხვი მოსავალი.

როცა ამხ. კულიკოვმა თქვა, 30 პროცენტი შრომა იმ საბჭოთა მეურნეობებს უნდა უბრუნდებოდეს, რომლებიც ბამბას აბარებენო, პირველად თანაგრძნობით ნოვეკიდე მის წინადადებას. მაგრამ, საბჭოთა მეურნეობის ნათესი ფართობების სტრუქტურა რომ შევიტყე, დავინახე, რომ აქ ორი მინდორი, ანუ 3 ათასი ჰექტარი, უჭირავს იონჯას, რომ სარწყავ მიწებზე ითესება 220 ჰექტარი შვრია, სამარცვლე სიმინდი კი მხოლოდ 10 ჰექტარი, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ამხ. კულიკოვი შროტს კი არ უნდა ითხოვდეს, არამედ წესრიგი უნდა დაამყაროს მიწის გამოყენებაში. მაშინ საკვები საბჭოთა მეურნეობას ეყოთა მეცხოველეობის სწრაფი განვითარების გათვალისწინებითაც კი.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

თესვა დაიწყეს

წულუკიძის რაიონში საგაზაფხულო ხვნა დასასრულს უახლოვდება. სასიმინდე ნაკვეთები თესვისათვის მთლიანად მომზადებულია სოფლების კუბის, ივანდიდის სტალინის სახელობისა და სუხჩის რუსთველის სახელობის კოლმეურნეობებში. სუხჩელმა მესიმინდეებმა უკვე დათესეს სიმინდის პირველი ჰექტარები.

სოფელ გუბის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. დარსაველია) სიმინდს სამარცვლედ 370 ჰექტარზე დათესავენ. მაღალმოსავლიან ნაკვეთებში, საიდანაც ჰექტარზე 70 ცენტნერი მარცვლის მიღებისათვის იბრძვიან, უკვე შეიტანეს 150 ტონა ნაკელი, სათესი ნიადაგები მოშლამეს. კოლმეურნეობა მზად არის თესვისათვის, 170 ცენტნერი სიმინდისა და 60 ცენტნერი სოიის თესლი კონდიციურია. ფარცხვასა და აოშვაზე შეუფერხებლად მუშაობს სამი ტრაქტორი, ოცზე მეტი მძიმე ფარცხი და ზიგზაგი.

ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდისათვის

პირველი კვადრატები

სიღნაღი. (საკ. კორ.). ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას შარშან 87 ჰექტარი სიმინდი ეთესა, წელს კი 400 ჰექტარზე თესავენ „მინდვრის დედოფალს“.

ძველანაგელებმა რაიონში პირველებმა დაიწყეს სიმინდის თესვა. მექანიზატორმა გურამ მოლაშვილმა პირველ დღესვე 15 ჰექტარი სიმინდი დათესა კვადრატულ-ბუდობრივად.

სიტყვას შევასრულებთ

წელს ჩვენი რაიონის მესიმინდეებმა დიდი ვალდებულებები იკისრეს და რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებს მიმართეს მოწოდებით მკვეთრად გაზარდონ სიმინდის მოსავლიანობა. ამ მიმართვას მეც ვაწერი ხელს.

სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ვხელმძღვანელობ, წელს 330 ჰექტარ სიმინდს დათესავს. აქედან 200 ჰექტარი მაღალმოსავლიანია (ჰექტარზე 60 ცენტნერი), 50 ჰექტარზე განვახორციელებთ კომპლექსურ მექანიზაციას.

თესვისათვის მზად ვართ. სრულ წესრიგშია ტრაქტორები — „ბელარუსი“, „დტ-24“, „ად-35“ და სამი კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა. მზრალის მთელი ფართობი დავფარცხეთ. შევიტანეთ 35 ტონა სუპერფოსფატი და ორგანული სასუქის ის მარაგი, რაც გაგვაჩნდა. დაფარცხვაზე განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდნენ მექანიზატორები რ. ნაცვლიშვილი, შ. ომიაძე და სხვები.

სათესლე მასალა მთლიანად დაკალიბრებული და კონდიციურია. ორიოდე დღის შემდეგ სიმინდის თესვას შევუდგებით.

გ. უუდროშვილი,

ყვარლის რაიონის ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი.

დათესილია 200 ჰექტარი

წითელწყაროს. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ტარიბანის მინდვრებზე ჯაფარიძელ კოლმეურნეთა შრომაა გაჩაღებული. აქაურმა მხვნელ-მთესველებმა იკისრეს 100 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანონ 65 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, 650 ჰექტარზე კი საშუალოდ 40 ცენტნერი. წელს 700 ჰექტარ სიმინდს კომპლექსური მექანიზაციით დაამუშავებენ ისე, რომ ხელით შრომა არ იქნება გამოყენებული.

დადგა თესვისათვის ხელსაყრელი ამინდები. ჯაფარიძელი მექანიზატორები აბრამ ბენაშვილი და ივანე გიგოლაშვილი სიმინდის თესვას შეუდგნენ. თესავენ კვადრატულ - ბუდობრივად. ხუთ დღეში 200 ჰექტარი დათესეს. თესვის ყოველდღიურ დავალებას კოლმეურნე მექანიზატორები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. თესვის ხარისხი საუკეთესოა.

ჯაფარიძელმა მხვნელ-მთესველებმა გადაწყვიტეს სიმინდის თესვა აპრილის პირველი რიცხვებისათვის დაამთავრონ.

სურათზე: წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მექანიზატორი აბრამ ბენაშვილი რაიონში პირველი შეუდგა სიმინდის თესვას პროგრესული მეთოდით. წელს იგი 100 ჰექტარს კომპლექსური მექანიზაციით დაამუშავებს და ჰექტარზე მიიღებს 65 ცენტნერ სიმინდს მარცვლად.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

მე მოვიყვანე სამხრეთ ყაზახეთის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტების გაანგარიშებანი. კარგი იქნებოდა, რომ უზბეკმა, ტაჯიკმა, ყირგიზმა და თურქმენმა ამხანაგებმა მოახდინონ ასეთი გაანგარიშებანი თავიანთი მებამბეობის რაიონების პირობებთან შეფარდებით.

უნდა ვიფიქროთ, რომ შუა აზიის რესპუბლიკების დელეგაციები, რომლებიც აქ გვესწრებიან, საჭირო დასკვნებს გამოიტანენ ამ და სხვა ზონალური თათბირების მუშაობიდან. ეს საშუალებას მისცემს მათ წარმატებით განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. ყოველი ღონისძიებით გაადიდებენ რა ბამბის წარმოებას, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის მშრომელები თავიანთ წვლილს შეიტანენ ხორცის, რძისა და მატყლის წარმოების გადიდებაშიც. **(ტაში).**

მიწათმოქმედების კულტურის ზოგიერთი საკითხი

ამხანაგებო! ყაზახეთის სოფლის მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი რეზერვია სარწყავი მიწების სწორი გამოყენება. ამჟამად რესპუბლიკაში არის 1 მილიონ 400 ათასზე მეტი ჰექტარი სარწყავი მიწა.

რას უკავია სარწყავი მიწები?

ბამბა	105 ათასი ჰექტარი	ანუ	7,5 პროცენტი
შაქრის ჭარხალი	58 „	ანუ	4 „
ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები	74 „	ანუ	5 „
ბაღი და ვენახი	54 „	ანუ	4 „
სიმინდი	308 „	ანუ	22 „
ბრინჯი	13 „	ანუ	1 „
თავთავიანი მარცვლეული კულტურები	258 „	ანუ	18 „
იონჯა	296 „	ანუ	21 „

აქედან ჩანს, რომ სარწყავი მიწები ყოველთვის გონივრულად როდია გამოყენებული. სარწყავ მიწებზე თქვენ თესავთ 258 ათას ჰექტარ მარცვლეულს და მოგყავთ ჰექტარზე მოსავალი ათი ცენტნერი მარცვლის ფარგლებში. ამრიგად, სარწყავ მიწებზე თქვენ მარცვლეულის გაცილებით ნაკლები მოსავალი მოგყავთ, ვიდრე უამირ მიწებზე. იანგარიშეთ, რამდენი ღირს ცენტნერი მარცვალი სარწყავ მიწებზე ასეთი მოსავლის დროს და შეადარეთ იმ მარცვლის ღირებულებას, რომელიც უამირ მიწებზე მოჰყავთ.

თქვენს პირობებში სარწყავ მიწებზე პირველ რიგში უნდა მოგყავდეთ ბამბა და რაც უფრო მეტს მოიყვანთ, მით უკეთესი,

სიმინდი მარცვალი (საშუალოდ 4 წელიწადში)	60,5 ცენტნერი ჰექტარზე
შაქრის ჭარხალი (საშუალოდ 3 წელიწადში)	510 ცენტნერი
იონჯა (თივა) (საშუალოდ 12 წელიწადში)	125 ცენტნერი ჰექტარზე

რა თქმა უნდა, სარწყავი მიწათმოქმედებისათვის ეს მოსავალიც არ არის ზღვარი, მაგრამ მაინც ეს უკეთესი მოსავალია.

თვით ალმა-ატის ოლქში არის სარწყავი მიწების გამოყენების კარგი მაგალითები. პანფილოვის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 40 წლისთავის“ მერგოლურმა უსმან მამატოვმა მიიღო 123 ცენტნერი ტაროიანი სიმინდის მარცვალი 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

ამავე კოლმეურნეობის მერგოლურმა ტურსუნ უშუროვმა 70 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 1.200 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა და 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 104 ცენტნერი ტაროიანი ხმელი მარცვალი.

აი თქვენ მაგალითი, ამხანაგო ყაზახებო! თუმცა ამხ. უშუროვმა სასილოსე მასა რამდენადმე ნაკლები მიიღო, ვიდრე უზბეკეთის კოლმეურნეობაში მიიღეს, მაგრამ ეს ღირსეული და შესანიშნავი მისაბაძი მაგალითია. **(ტაში).**

ტალდი კურგანის რაიონის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ვერა იოსეფის ასული ლიუტოვა უკვე რამდენიმე წელია იღებს 450-500 ცენტნერ შაქრის ჭარხლის მოსავალს ჰექტარზე. **(ტაში).**

ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ სარწყავი მიწათმოქმედება ყაზახეთში შეიძლება ვაწარმოოთ მაღალ დონეზე, ყოველ წელს მივიღოთ გარანტირებული კარგი მოსავალი. 1961-1965 წლებში თქვენ დასახული გაქვთ გაადიდოთ სარწყავი ფართობები 660 ათასი ჰექტარით. ამრიგად, სულ იქნება 2 მილიონ ჰექტარზე მეტი სარწყავი მიწა. ეს დიდ მოთხოვნებს უყენებს სოფლის მეურნეობის მუშაკებს. საჭირო მაქსიმალური ეფექტიანობით გამოვიყენოთ ყოველი ჰექტარი სარწყავი მიწა.

მინდა შევეხო ბრინჯის თესვა-მოყვანას. ყაზახეთის სამხრეთ რაიონებში, განსაკუთრებით ყზილ-ორდის ოლქში, ბრინჯის თესვა-მოყვანის ხელსაყრელი პირობებია. სოფლის მეურნეობის მოწინავეებს აქ მოჰყავთ ამ კულტურის უხვი და მყარი მოსავალი.

ყზილ-ორდის ოლქის კოლმეურნეობა „III ინტერნაციონალში“ ამხ. პაკ ჩენ ირის რგოლმა 1960 წელს 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 84 ცენტნერი ბრინჯი. ეს შესანიშნავი მაგალითია, ამხანაგებო. **(ტაში).**

ამავე ოლქის ჩიილის რაიონის კოლმეურნეობა „ყიზილ ტუს“ მერგოლური იბრაი ჟახაევი, რომელზეც უკვე ვილაპარაკე, 20 წლის მანძილზე 70-90 ცენტნერ ბრინჯს იღებს ჰექტარზე. ბრინჯის რეკორდულმა მოსავალმა ამ ბრინჯი, სიმინდი, მაგრამ ისეთი, როგორიც მოჰყავს ამხ. ხვანს, შაქრის ჭარხალი ჰექტარზე 400-600 ცენტნერი, იონჯა.

უნდა ითქვას, რომ სარწყავ მიწებზე თქვენში ძალიან მცირეა არა მარტო მარცვლეულის, არამედ სხვა კულტურების მოსავალი. ალმა-ატის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1960 წელს სარწყავ მიწებზე მიღებული შემდეგი მოსავალი: შაქრის ჭარხალი — 194 ცენტნერი ჰექტარზე, სამარცვლე სიმინდი — 22,2 ცენტნერი, იონჯა (თივა) — 23 ცენტნერი. ვიმეორებ, ეს ძალიან მცირე მოსავალია.

აი მორწყვით რა მოსავალი მიიღეს დასავლეთ ყაზახეთის საცდელი სადგურის მინდვრებზე:

სიმინდი მარცვალი (საშუალოდ 4 წელიწადში)	60,5 ცენტნერი ჰექტარზე
შაქრის ჭარხალი (საშუალოდ 3 წელიწადში)	510 ცენტნერი
იონჯა (თივა) (საშუალოდ 12 წელიწადში)	125 ცენტნერი ჰექტარზე

ერგოლში შეადგინა 170 ცენტნერი ჰექტარზე.

აი ჩვენი შუქურები, მათ უნდა გავუსწოროთ მხარი! **(ტაში).**

კაზალინსკის სახელმწიფო ჯიშთსაცდელ ნაკვეთზე უკანასკნელ ხუთ წელიწადში ბრინჯის საშუალო მოსავალმა შეადგინა 68,5 ცენტნერი ჰექტარზე, ხოლო ჩიილის ჯიშთსაცდელ ნაკვეთზე — 65,6 ცენტნერი ჰექტარზე. უხვი მოსავლის დროს ბრინჯი შემოსავლიანი კულტურაა.

უნდა ითქვას, რომ ყაზახეთის სამხრეთ ოლქებში ბრინჯის წარმოება შემცირდა. 1940 წელს ბრინჯის ნათესები შეადგენდა 28 ათას ჰექტარს, 1960 წელს კი — მხოლოდ 13 ათას ჰექტარს. ბრინჯის საერთო მოსავალი შემცირდა 55 ათასი ტონიდან 24 ათას ტონამდე.

ბამბასთან, როგორც ძირითად სარწყავ კულტურასთან, ერთად საჭიროა გავადიდოთ ბრინჯის წარმოება. 1965 წლისათვის თქვენ გეგმავთ ბრინჯის ფართობი გაადიდოთ 100 ათას ჰექტარამდე. ამასთანავე საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ მოსავლიანობის გადიდებას.

ყაზახეთში ბრინჯის საშუალო მოსავალია 18,5 ცენტნერი ჰექტარზე. ეს ძალიან მცირე მოსავალია. ბრინჯის ასეთ მოსავალს თუ მივიღებთ, მაშინ აზრი არა აქვს ვაწარმოოთ საირიგაციო სამუშაოები და დავხარჯოთ უდიდესი კაპიტალდაბანდებანი. ბრინჯი, როგორც მინიმუმი, უნდა იძლეოდეს 40-50 და მეტ ცენტნერს ჰექტარზე.

ამხანაგებო! ჩვენ მოვაწყეთ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონაში. ამ თათბირებზე გამოითქვა ბევრი ძვირფასი წინადადება, რომელთა მიზანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება. ახლა მთავარია ორგანიზატორული მუშაობა ადგილებზე.

დიდი ამოცანები დგას ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა დარწმუნებული არიან, რომ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი პირველი მდივანი ამხ. დ. ა. კუნაევი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და მისი თავმჯდომარე ამხ. ს. დაულენოვი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მისი თავმჯდომარე ამხ. ი. შარიპოვი, რესპუბლიკის კომუნისტები, კომკავშირელები და ყველა მშრომელნი ყოველ ღონეს იხმარენ, რომ დარაზმონ თავიანთი ღონისძიებანი დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. **(მქუხარე ტაში).**

ბევრი რამ უნდა გაკეთონ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტმა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვის გაერთიანებამ. მათ უნდა გამოიჩინონ თავი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ საერთო-სახალხო ამოცანის გადაჭრაში, რომ სოფლის მეურნეობა აყვანილ იქნეს ახალ სიმაღლეზე, რათა სავსებით დააკმაყოფილოს ხალხის მზარდი მოთხოვნილებანი. **(ტაში).**

დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტმა პასუხი უნდა აგოს არა მარტო პროდუქტების შესყიდვისათვის, არამედ იგი მოწოდებულია მჭიდრო კავშირი ჰქონდეს ყველა კოლმეურნეობასთან და საბჭოთა მეურნეობასთან სასოფლო-სამეურნეო წლის დაწყებიდან დამთავრებამდე. ტექნიკის მიყიდვის გაერთიანება მოვალეა ყოველთვის მუშაობდეს იმაზე, რომ უზრუნველყოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ტექნიკით, სწორად გაანაწილოს იგი, მიაღწიოს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის მოთხოვნილებანი შესაბამის გამოხატულებას პოულობდნენ მრეწველობისათვის მიცემულ შეკვეთებში.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახლა განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისაგან. იმისაგან, რომ ტექნიკით ამარაგებდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, განთავისუფლებულია ბევრი სხვა ორგანიზაციული საკითხისაგან. ახლა სამინისტრო ნამდვილად უნდა ამუშავებდეს სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა საფუძველზე. კონკრეტულად უნდა ვასწავლოთ ადამიანებს და უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს ყოველი ზონის მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებით და ამ საფუძველზე მივაღწიოთ უმაღლეს შედეგებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში.

ზოგიერთი ამხანაგი ამბობს, რომ არ უნდა იყოს შაბლონი მიწათმოქმედების სისტემაში. ეს სწორია. მაგრამ შაბლონის უარყოფა სრულებითაც არ ნიშნავს უარვყოთ თვით სისტემა მიწათმოქმედებისა, უარვყოთ წესრიგი მიწათმოქმედებაში. არ შეიძლება, რომ ყოველი ადამიანი თავისი მეურნეობის — საბჭოთა მეურნეობის ან კოლმეურნეობის პირობებში ქმნიდეს, როგორც იტყვიან, თეორიას თავისთვის. ეს თვითდინებაა, ეს ნიშნავს ბრმად ვაწარმოებდეთ მეურნეობას, ეს ნიშნავს კულტარობას! თუ არა გვაქვს მიწათმოქმედების სისტემა, ეს იმას ნიშნავს, რომ არა გვაქვს მიწათმოქმედების თეორია, არა გვაქვს სასწავლებლებში სასოფლო-სამეურნეო კადრების სწავლების პროგრამები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის (1954 წელი) პლენუმმა დაგმო შაბლონი მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის ჩვენი ქვეყნის ყველა ზონისათვის როგორც ერთიანი სისტემის გამოყენებაში. ჩვენ ახლაც წინააღმდეგი ვართ შაბლონისა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიას დავალებული ჰქონდათ შეემუშავებინათ მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონისათვის, რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა მოწინავე მეცნიერების მიღწევები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მდიდარი გამოცდილება. მაგრამ ეს ამოცანა დღემდე არ არის გადაჭრილი.

ზოგიერთი ადამიანი, როგორც ჩანს, ხალისით შეხვდა იმ მითითებას, რომ ხელი აიღონ შაბლონზე მიწათმოქმედების სისტემაში. მაგრამ მათ თვითონ ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს პარტიისა და მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ღრმა აზრი, რომლებშიც მოცემული იყო ნათესბალახიანი თესლბრუნვის შაბლონური გამოყენების კრიტიკა. საქმე ის არის, რომ ბევრ ინსტიტუტსა და სამეცნიერო დაწესებულებაში ტონს იძლევიან ის მეცნიერები, რომლებიც თავის დროზე იცავდნენ დისერტაციებს ნათესბალახიანი სისტემის შესახებ. როგორც ჩანს, ამიტომ ისინი ამჯობინებენ არ გააკრიტიკონ ნათესბალახიანი სისტემის ნაკლოვანებანი, რადგან ამ სისტემის გაკრიტიკებით მათ უნდა გააკრიტიკონ თავიანთი თავი. მაგრამ ცხოვრების კანონი ასეთია: თუ ხედავ, რომ ყველაფერი საფუძვლიანი როდია იმ კონცეპციაში, რომელსაც შენ ეყრდნობოდი, დროზე უნდა შენიშნო შეცდომები, გამოასწორო ისინი მოწინავე მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებზე დაყრდნობით.

მიწათმოქმედების თეორიული საფუძვლები, რომლებიც გამოჩენილმა მეცნიერებმა შექმნეს, გამდიდრებული და განვითარებული თანამედროვე მეცნიერებითა და პრაქტიკით, ურყევი რჩება. მაგრამ მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარების მსვლელობა მოითხოვს დამატებათა და შესწორებათა შეტანას, რომლებიც თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი. მიწათმოქმედების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს თვითეული ზონის თავისებურებებს, ნიადაგისა და ჰავის კონკრეტულ პირობებს.

სასწავლებელთა პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს მიწათმოქმედების თეორიის ზოგად საფუძვლებს, ხოლო სტუდენტთა სწავლების პროცესში სწორად უნდა შევახამოთ თეორიული საფუძვლების ათვისება ამა თუ იმ ზონის კონკრეტული პირობების შესწავლასთან. უნდა მოვამზადოთ კადრები გარკვეულ ზონებში სამუშაოდ. სპეციალისტებმა კარგად უნდა იცოდნენ თეორიის საფუძვლები და გარკვეული ზონების პრაქტიკა. მოწინავე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების. საცდელი სადგურების გამოცდილება.

მიწათმოქმედების სისტემის საკითხის დაყენებასთან დაკავშირებით მინდა შევეხო მეურნეობის გაძღოლის პრაქტიკის ზოგიერთ მომენტს.

მაგალითად, ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უნდა შეისწავლონ მეზობელი ოლქების გამოცდილება მზრალად ხვნისა და ნიადაგის დამუშავების სხვადასხვა წესის დანერგვის საქმეში. არის თხემიანი მზრალი და მოსწორებული. სპეციალისტები და პრაქტიკოსები, რომლებმაც გამოსცადეს ნიადაგის დამუშავების ასეთი წესი, ხმას აძლევენ მოსწორებული მზრალის სასარგებლოდ. ისინი ამტკიცებენ, რომ მოსწორებული მზრალი ორენბურგის ოლქის გვალვიან რაიონებში უფრო მეტად ინარჩუნებს და აგროვებს ტენს.

თავის დროზე თხემიან ხვნასაც იმით ასაბუთებდნენ, რომ იგი ხელს უწყობს ტენის მეტ დაგროვებას. მეურნეობანი, რომლებიც მოსწორებული ხვნის ცდებს ახორციელებდნენ, აკეთებენ დასკვნებს ხვნის ამ წესის სასარგებლოდ. არ შეიძლება ბრმად მივბაძოთ იმას, რაც რეკომენდებული იყო მრავალი ათეული წლის წინათ. უნდა გავაკეთოთ არჩევანი, თუ ეჭვი გვეპარება, უნდა გაანახორციელოთ ცდები მეურნეობებში. რათა თვითონ დავრწმუნდეთ ამა თუ იმ წესის უპირატესობაში.

მე უკვე ვთქვი და ახლაც მინდა შევეხო მოუთესავ და მოთესილ ანეულებს. არის მეურნეობანი, რომლებიც მიწათმოქმედებას აწარმოებენ ისე, რომ არა აქვთ მოუთესავი ანეული, არამედ აქვთ სათოხნ კულტურათა ფართობი, და მათ არა აქვთ სარეველები მინდვრებში. სხვა მეურნეობებს. განსაკუთრებით იმათ, სადაც მინდვრები დასარეველიანებულია და ცოტაა ტენი, როგორც ჩანს, უნდა ჰქონდეთ მოუთესავი ანეულები.

რა კულტურები უნდა ვთესოთ სათოხნ ფართობზე? ეს კულტურები თავისთავად იგულისხმება: სიმინდი, საკვები ჭარკოსნები. წიწიბურა, ფეტვი, შაქრის ჭარხალი და სხვა კულტურები.

თათბირის ცალკეულმა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სუფთა სახით ბარდის მოსავლის აღება ძნელია. ახლა ჩვენი ქვეყნის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მოწინავე მეურნეობებიც თესავენ სუფთა ბარდას და იღებენ 25-30 ცენტნერს ჰექტარზე. იმ ამხანაგებს, რომლებმაც არ იციან ეს, მე ვურჩევდი ისწავლონ მოწინავე ადამიანებისაგან მოწინავე მეურნეობებში. ჩვენს პრესაში დაწვრილებით იყო გაშუქებული ბარდის თესვა-მოყვანის გამოცდილება ვინიცის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. გაზეთ „სელსკაია ჟიზნში“ აღწერილია ლგოვის სადგურის გამოცდილება სუფთა სახით დათესილი ბარდის მოსავლის აღების მექანიზაციის საქმეში.

ცნობილია აგრეთვე სახალხო მამულის „შვანებერგის“ გამოცდილება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ მამულს ამხ. შტრუბე ხელმძღვანელობს. მე ვიყავი ამ მამულში და ენახე ბარდა, რომლის მოსავალი შეადგენს 25-30 ცენტნერს ჰექტარზე. როგორ ფიქრობთ, რა მანქანებით იღებენ ბარდას ამ მამულში? ჩვეულებრივი სათრეველა ფოცხებით, რომლებსაც ტრაქტორი ეწევა, მაგრამ მოსავალს იღებენ უმთავრესად დილით და საღამოს, როცა ნამია, როცა ბარდის პარკი არ სკდება. ფოცხი მიდის, გლეჯს ბარდას და ქმნის ღვარეულებს. ხოლო 2-3 დღის შემდეგ კომბაინი აგროვებს ღვარეულებს, ლეწავს ბარდას.

ზოგი ამბობს, მერედა მოსავლის აღების ასეთი მეთოდის დროს მეურნეობა რამდენს კარგავსო. ასეთ ამხანაგებს შეიძლება ვუპასუხოთ: მიიღეთ 25-30 ცენტნერი ბარდა ჰექტარზე, აიღეთ ფოცხით, ჩვენ არავითარ საყვედურს არ გეტყვით დანაკარგებისათვის. როგორც ხედავთ, სუფთა სახით დათესილ ბარდას ამხ. შტრუბე ფოცხით იღებს, შეგიძლიათ გაუკეთოთ სამარჯვი სამკელ მანქანას, რომელიც შექმნილია ლგოვის სადგურში და რეკომენდებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება, რომელიც საბჭოთა ავშირის უკლებლივ ყველა ზონაში აქვთ, გვიჩვენებს, რომ პარკოსანი კულტურები იძლევიან უხვ მოსავალს და შემდგომი კულტურების კარგი წინამორბედები არიან.

ამხანაგებო, აი უკვე მესამედ თუ მეოთხედ ვისმენ ალტაის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის გ. ა. ნალივაიკოსა და ალტაის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელი მეურნეობის აგრონომის ნ. ი. ჩეკანოვას ნაამბობს საკვები პარკოსნების თესვა-მოყვანის საკითხზე. მე ძალიან მომწონს მათი გამოცდილება. იგი მიბაძვის ღირსია. განახორციელეთ ასეთი ცდები თქვენთან, ისწავლეთ მოუთესავი ანეულის უქონლად მიიღოთ უხვი მოსავალი და არ გქონდეთ სარეველები მინდვრებში.

მაგონდება ერთი უკრაინული ხუმრობა. როცა ადამიანს არა სურს კონკრეტულად უპასუხოს რომელიმე კითხვაზე, იგი მიმართავს ირონიულ ანდაზას: „ჩვენ სოფლელები ვართ, ბნელი ხალხი ვართ, ოღონდ გროშები გვქონდეს“. ეს ხუმრობა რომ გადავაკეთოთ, შეიძლება ვთქვათ: ჩვენ არ ვიცით, როგორი თესლბრუნვა სჯობს, მაგრამ ის თესლბრუნვა, რომელიც მეტ პროდუქტებს იძლევა ჰექტარ სახნავზე ნაკლები დანახარჯებით, — აი ასეთი თესლბრუნვა ხელს გვაძლევს! **(ტაში).**

მეცნიერების ამოცანაა განაზოგადოს მოწინავე გამოცდილება, ხელი შეუწყოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმოებაში დანერგონ იგი.

უნდა გავაფართოოთ წიწიბურას ნათესები. ყამირ მიწებზე წიწიბურა კარგ მოსავალს იძლევა, თუ მას კარგად დავთესავთ და დავამუშავებთ. მე უკვე ვილაპარაკე იმ მოწინავე კოლმეურნეობებისა და ბრიგადების საგულისხმო გამოცდილებაზე, რომლებიც წიწიბურას თესავენ ორმწკრივა წესით, თქვენც უნდა გამოსცადოთ ასეთი წესი.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ფეტვის შესახებ. ამბობენ, რომ ეს შრომატევადი კულტურაა. მაგრამ მისი შრომატევადობა დამოკიდებულია თესვის წესზე. თუ ფეტვს ვთესავთ მთლიანი წესით, ისიც დასარეველიანებულ მიწებზე, არავითარ მოსავალს არ მოგვცემს ან საჭირო იქნება ხელით მოვაშოროთ სარეველები, რაც თქვენს პირობებში, როცა საკმარისი არ არის მუშახელი, სრულიად შეუძლებელია, და ეს სხვა მეურნეობებშიც არ არის ხელსაყრელი. მაშასადამე, ფეტვი უნდა დათესოს სარეველებისაგან გაწმენდილ მიწებზე, და დაითესოს ისე, როგორც აკადემიკოსმა ტ. დ. ლისენკომ გვირჩია. მან არა მარტო რჩევა მოგვცა, არამედ მისი ხელმძღვანელობით დაითესა ფეტვი ფართო მწკრივებად და მოყვანილ იქნა ასფუთიანი მოსავალი ჯერ კიდევ ომამდელ წლებში.

კიდევ ერთი საკითხი. საჭიროა, რომ ეკონომისტებმა პრაქტიკაზე დაყრდნობით, რომლითაც მდიდარია ჩვენი სოფლის მეურნეობა, შეიმუშაონ რეკომენდაციები სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ოდენობის შესახებ.

ფრიად საჭიროა მეცნიერულად დამუშავდეს საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს მეურნეობა ოპტიმალურად, რა ზომის ფართობები, განსაკუთრებით სახნავ-სათესი მიწა უნდა ჰქონდეს მას, რათა ეს მეურნეობა ეკონომიურად ეფექტიანი და მართვისათვის მოხერხებული იყო. სახნავ-სათესი მიწის რა რაოდენობის დროს უნდა ჰქონდეს საბჭოთა მეურნეობას განყოფილებანი, რომელი კულტურების თესვა-მოყვანის დროს რამდენი სამუშაო ძალა და ტექნიკა, რომელი ტექნიკაა საჭირო, რომ თვითეული კულტურისა და მთელი კომპლექსის წარმოება რენტაბელური იყოს.

უნდა დავასაბუთოთ ასეთი რეკომენდაციები როგორც საბჭოთა მეურნეობების, ისე განყოფილებებისათვის, რათა მეურნეობათა ოდენობა შემთხვევითი მოვლენა არ იყოს, როგორც ეს ზოგჯერ გვხვდება ჩვენში. ერთ საბჭოთა მეურნეობას აქვს 80 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწები, მეორეს 40-50 ათასი, მესამეს კი — 10 ათასი ჰექტარი. რა არის სწორი? არ შეიძლება, რომ ერთიც, მეორეც და მესამეც თანაბრად ხელსაყრელი იყოს ერთნაირ პირობებში.

ეტყობა, ამ მხრივ ჩვენში ჯერ კიდევ ცოტაა ეკონომიურად დამუშავებული მონაცემები. უმთავრესად საბჭოთა მეურნეობებზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს კოლმეურნეობებსაც ეხება. თუ საბჭოთა მეურნეობებში არის ცენტრალური ეზო და ამასთან განყოფილებანი, კოლმეურნეობაში არის ცენტრალური ეზო და ბრიგადები, საველე ბანაკები, ყოველივე ეს მოითხოვს სერიოზულ ანალიზს, განგარიშებასა და მეცნიერულ დასაბუთებას.

წარმოების ორგანიზაციის საკითხებსა და შრომის ორგანიზაციის საკითხებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ამასთანავე ერთხელ კიდევ უნდა შევეხოთ მატერიალური დაინტერესების პრინციპს, შრომის ანაზღაურებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა ადამიანებს გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, და ისინი ეხმაურებიან პარტიის მოწოდებას. უკეთეს მშრომელებს უკეთესი მუშაობისათვის ანაზღაურებაც უკეთესი უნდა ჰქონდეთ: კოლმეურნეობებში ეს არის შრომის დამატებითი ანაზღაურება, საბჭოთა მეურნეობებში ეს არის აკორდულ-პრემიალური ანაზღაურება. წარმოების ორგანიზატორებს არ უნდა ავიწყდებოდეთ ეს.

ამხანაგებო, არ შეიძლება მარტო ენთუზიაზმით უზრუნველყოთ პროდუქტების წარმოების ზრდა და შრომის ნაყოფიერების გადიდება. თუ მატერიალურად არ წავახალისეთ საუკეთესო ადამიანები, საჭირო საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები არ შევუქმენით ადამიანს, იგი იმ ენერგიით ვერ იმუშავებს, რომლითაც წინათ მუშაობდა. ამიტომ მხარი უნდა დავუჭიროთ ადამიანების ინიციატივას, ენთუზიაზმს, მათი ღონისძიებანი უნდა მოვახმაროთ იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც პარტიამ დასახა. და ეს ენთუზიაზმი მატერიალური წახალისებით უნდა განვამტკიცოთ, რათა ადამიანებს, რომლებიც შრომის საუკეთესო ნიმუშებს გვიჩვენებენ, თავიანთი შრომის უფრო მაღალი მატერიალური ანაზღაურება ჰქონდეთ. **(ტაში).**

ყურადღებას იპყრობს ასეთი საკითხიც. თავის დროზე მიღებულ იქნა მთავრობის გადაწყვეტილება, რომელშიც დაგმობილი იყვნენ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, რომელნიც საკუთარი საკვებით ვერ უზრუნველყოფენ მეცხოველეობას. ეს სწორი გადაწყვეტილებაა. იქ სამართლიანად არიან გაკრიტიკებული საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მთლიანად ვერ იყენებენ თავიანთ რეზერვებს და გეზი აქვთ აღებული იმაზე, რომ სახელმწიფო საკვები მიიღონ, რათა აწარმოონ მეცხოველეობა.

მაგრამ, ეტყობა, ამ გადაწყვეტილებას ერთგვარი დაზუსტება ესაჭიროება. ჩვენში არის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც განლაგებულია სამრეწველო ცენტრების, დიდი ქალაქების ახლოს. ვთქვათ, საბჭოთა მეურნეობას რაღაც რაოდენობით აქვს მიწა, იგი აწარმოებს მეურნეობას, მაგრამ ეს მიწა მას ცოტა აქვს, მეურნეობა კი განვითარებულია გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე შესაძლებელია უზრუნველყოს გასუქება საკუთარი წარმოების საკვებით.

ამიტომ არ შეიძლება ხელაღებით დავგმოთ ის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ბევრს აკეთებენ საკვების წარმოების გასაადიდებლად და პირუტყვის ნაწილს ნაყიდი საკვებით ასუქებენ.

ასეთი მეურნეობები განსაკუთრებულ აღრიცხვაზე უნდა ავიყვანოთ და მათთვის უნდა გვქონდეს ორმაგი დაგეგმვა: მან ღორების ერთი რაოდენობა უნდა გაზარდოს საკუთარი წარმოების საკვებით, ხოლო, გარდა ამისა, ღორების რაღაც რაოდენობა, თუ ეს ხელსაყრელია, გაასუქოს მეტანილი საკვებით.

ანდა კიდევ მაგალითი. ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია მეფრინველეობის ფაბრიკები შევქმნათ დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების განაპირა უბნებში, რადგან უმჯობესია ფრინველის საკვები მოვზიდოთ, ვიდრე კვერცხი გადავზიდოთ.

ამიტომ სწორი არ იქნება, რომ მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორისა და მთელი კოლექტივის საქმიანობა შევაფასოთ მხოლოდ იმის მიხედვით, რომ მეურნეობას აწარმოებენ მოტანილი საკვებით. აქ ყველაფერი გონივრულად უნდა გავითვალისწინოთ, ავწონ-დავწონოთ ყველა ფაქტორი, რომლებიც საქმის მიზანშეწონილობასა და ეკონომიურ ხელსაყრელობას განსაზღვრავენ.

ყაზახეთის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული დიდი ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით სამეცნიერო დაწესებულებებს.

ინსტიტუტები და საცდელი სადგურები მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული წარმოებასთან. წესრიგი უნდა დავამყაროთ სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა განლაგებაში, გავიყვანოთ ისინი მიწაზე, იქ, სადაც თავიანთი მეურნეობა აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

როგორ არის განლაგებული სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები ყაზახეთში?

რესპუბლიკაში 10 ინსტიტუტია, აქედან მხოლოდ ერთია ჩრდილოეთ ყაზახეთში აკმოლინსკის ოლქში, დანარჩენი 9 ალმა-ატაშია. ვინც ნამდვილად ცხოვრობს მეცნიერებისათვის, იმას ესმის, რომ მეცნიერებას წინ ვერ წავწევთ უპრაქტიკოდ, პრაქტიკაზე დაუყრდნობლად, უექსპერიმენტებოდ. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მიწაზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. **(ტაში).**

ალმა-ატის მოედნებზე და ქუჩებში ან თქვენი დედაქალაქის გარეუბანში განლაგებულია შემდეგი ინსტიტუტები:

ყაზახეთის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. აი სწორედ აქ უნდა იყვნენ მეცხოველეები. **(გამოცოცხლება დარბაზში);**

ყაზახეთის საკვებისა და საძოვრების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. სწორედ ალმა-ატის ქუჩებში შეიძლება კარგად შევისწავლოთ საძოვრების პრობლემები! **(სიცილი დარბაზში);**

ყაზახეთის სოფ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

წოდებისამებრ აქ მოვა ასეულ ათასობით კომკავშირელი, ახალგაზრდა, რათა ყაზახ ხალხთან ერთად აითვისონ ყაზახეთის სიმდიდრე სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მაგრამ ისმება კითხვა — სად იცხოვრონ ამ ადამიანებმა, სად დავასახლოთ ისინი? ყამირის ათვისების პირველ პერიოდში პარტიის მოწოდებით აქ ჩამოვიდა ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი, მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენტი ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან. მათ იცოდნენ, რომ იცხოვრებდნენ კარვებში, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში მოუხდებოდათ ცხოვრება ძნელ პირობებში. მათ იცოდნენ ეს, მაგრამ ჩამოვიდნენ და გადალახეს სიძნელეები, განახორციელეს დიადი საქმენი.

მაშინ ჩვენ არ გვქონდა სხვა გამოსავალი, მაგრამ ახლა უკვე არ უნდა დავეყრდნოთ იმას, რომ ადამიანებმა კარვებში იცხოვრონ.

ყამირის ათვისების განმავლობაში სახელმწიფომ ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობისათვის დახარჯა 18 მილიარდ 241 მილიონი მანეთი (ძველი ფულით), აქედან საწარმოო ნაგებობათა მშენებლობისათვის — 14 მილიარდ 73 მილიონი მანეთი, საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის — 3 მილიარდ 654 მილიონი მანეთი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების მშენებლობისათვის — 514 მილიონი მანეთი.

ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში აშენებულია საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 7 მილიონი კვადრატული მეტრია.

ჩვენ შეგვიძლია ყოველი ღონე ვიხმაროთ და კიდევაც უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ შევქმნათ საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის. კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაღების, სასადილოების, კლუბების, საავადმყოფოების, მეცხოველეობის სადგომების, მარცვალსაცავების, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა.

თუ საბჭოთა მეურნეობები გონივრულად გამოიყენებენ მათთვის გამოყოფილ სახსრებს და ააშენებენ კარგ და მკვიდრ სახლებს, მაშინ მწვავე არ იქნება კადრების პრობლემა. საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გამოაცხადებს, რომ საბჭოთა მეურნეობას სჭირდება ესა და ეს სპეციალისტები და რომ მათ მიეცემათ ბინები. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ადამიანები ხალისით ჩამოვლენ აქ. მაგრამ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ამ ადამიანებს შეუქმნან საჭირო პირობები და ისინი კარგად იმუშავებენ.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად ყამირის საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობისათვის გამოიყოფა დამატებითი ასიგნობანი. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ რაციონალურად, ყაირათიანად გამოვიყენოთ მშენებლობისათვის გამოყოფილი თვითეული მანეთი.

ადგილობრივ მუშაკებთან საუბრებისა და პირადი შთაბეჭდილებების შედეგად ის აზრი შემექმნა, რომ მშენებლობის ორგანიზაციაში ბევრი ნაკლია. მშენებლობა ძველებურად მიმდინარეობს. მართალია, რაღაც პროგრესი არის იმასთან შედარებით, რაც მე ადრე ვნახე, მაგრამ ეს ცოტაა. თქვენში ჩამორჩენილ მეთოდებს ჯერ კიდევ საკმაოდ ფართოდ იყენებენ. ნელა იქმნება საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები. სუსტად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს მშენებლობის დაჩქარებისა და გაიაფებისათვის. მშენებლობისა და სამშენებლო კონსტრუქციების ხარისხი დაბალია.

იმისათვის, რომ ღრმად გავერკვეთ ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საქმეთა მდგომარეობაში, განვსაზღვროთ მიმართულება და დავსახოთ, თუ როგორ მოვაწყოთ უკეთ ეს მუშაობა, ცელინოგრადსა და ალმა-ატაში გაიმართა თათბირები მშენებლობის საკითხებზე. აქ სასარგებლო საუბარი იყო, გამოითქვა ბევრი საინტერესო წინადადება.

ყამირზე მშენებლობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. სწრაფად, კარგად, ლამაზად და იაფად უნდა ვაშენოთ საცხოვრებელი სახლები და სხვა შენობები. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მნიშვნელოვნად დავაჩქაროთ მშენებლობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

მშენებლობის დარგში დასახული ამოცანები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მშენებლობის მექანიზაციის, ინდუსტრიალიზაციის პირობებით. ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ყაზახეთის რაიონებში, სადაც ყოველი ადამიანი განსაკუთრებულ აღრიცხვაზეა.

თქვენს პირობებში ყველაზე ეკონომიურია სახლებისა და სხვა შენობათა და ნაგებობათა მშენებლობა კარკასული და პანელის წესით. ამ შემთხვევაში სათბილებელი შეიძლება იყოს ლელი, იქ კი, სადაც ლელი არ არის, — ნამჯის ფილები, ფიბროლიტი.

ყაზახეთს აქვს ლელის დიდი მარაგი — 600 ათას ჰექტარზე მეტი. ლელი შესანიშნავი საშენი მასალაა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ კედლის მასალად საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში და სხვა შენობებსა და ნაგებობებში.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს მშენებლობის ტემპები და გაიაფდეს მისი ღირებულება, სპეციალისტმა მშენებლებმა წამოაყენეს წინადადება, რომ საბჭოთა მეურნეობებში აშენდეს საცხოვრებელი სახლები და საწარმოო ნაგებობანი რკინაბეტონის კარკასითა და პანელის წესით. ალმა-ატაში, სადაც აქვთ ამწეები და სადაც მექანიზაციის გამოყენების დიდი შესაძლებლობაა, მე გირჩევთ აშენოთ პანელის ტიპის 4-5-სართულიანი რკინა-ბეტონის შენობები — ლელის სათბილებელით. ეს იქნება იაფი, საშენებლად მობილური, დიდხანს გამძლე და მაღალხარისხოვანი ნაგებობანი.

საბჭოთა მეურნეობებში საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი შენობები უნდა ავაშენოთ 2-3 სართულად ყველა სახეობის კეთილმოწყობით. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დაბები იყოს უფრო კომპაქტური, შეამცირებს მშენებლობის ღირებულებას. ახლა, სამწუხაროდ, დაბებს ბევრ შემთხვევაში მეტად გაფანტულად აშენებენ. მაგ. საბჭოთა მეურნეობების მუშები და კოლმეურნეები წამოაყენებენ უფრო დიდ მოთხოვნებს — კანალიზაციის, წყალსადენის გაყვანას, ტროტუარების დაგებას და კეთილმოწყობილ ქუჩების შექმნას. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ძვირი ეღირება კომუნიკაციების მიყვანა თვითეულ სახლთან. ეს, ვგონებ, უფრო ძვირი იქნება, ვიდრე სახლის აშენება. ამიტომ ისე უნდა ვაშენოთ, რომ შევამციროთ კეთილმოწყობაზე — წყალსადენზე, კანალიზაციაზე, ელექტროქსელზე, გზებსა და ტროტუარებზე გასაწევი ხარჯები. ეს აგრეთვე უკეთეს პირობებს შექმნის მაღაზიების, სკოლების, კლუბების, საავადმყოფოების განლაგებისათვის.

ზოგიერთ რაიონში, სადაც მუშახელი არა ჰყოფნით, ახლანდელ პირობებში, როგორც გამოსავალი, შეიძლება ვურჩიოთ ასეთი ღონისძიება: დაიდგას კარკასი, კედლები ამოივსოს ლელის ან ნამჯის ფილებით, გაკეთდეს კარფანჯრები, ხოლო დანარჩენი სამუშაო — შელესვა და სხვა მარტივი სამუშაოები შეასრულონ იმათ, ვინც ბინას იღებს. ვფიქრობ, რომ ისინი ამაზე დათანხმდებიან.

აქ განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ სახლები და სხვა ობიექტები მხოლოდ ტიპური პროექტებით შენდებოდეს. თქვენ საკმარისი ძალები მოგიპოვებათ, რათა შეიმუშაოთ ასეთი პროექტები. მე მომეწონა საპროექტო წინადადებანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა კარკასული შესრულებით ორ- და სამ სართულად, ისე რომ ბინები განლაგებული იყოს ორ სართულში. და ყველაზე მეტად მომეწონა სამსართულიანი სახლები. პროექტებში უნდა გავითვალისწინოთ ბინები სხვადასხვა ოჯახისათვის — დიდი და პატარა ოჯახებისათვის. მაგრამ, ეტყობა, უკეთეს მდგომარეობას მოიპოვებს რკინაბეტონისა და პანელის ორ-სამსართულიანი სახლების მშენებლობა, რომლებსაც ექნება ლელის ან ნამჯის ფილების ან ფიბროლიტის სათბილებელი.

ყველაზე მნიშვნელოვანია შეიქმნას ბაზა მშენებლობისათვის. იმისათვის, რომ ვაშენოთ ინდუსტრიული მეთოდებით, ვაშენოთ სწრაფად და კარგად, უნდა გვქონდეს რკინაბეტონის ნაკეთობანი კარკასისა და პანელებისათვის, კამიშიტის ფილები შესავსებად, ქვიშა და ღორღი, როგორც შემვსები ბეტონისათვის, საჭიროა გვქონდეს სადურგლო ნაკეთობანი, სახურავი და სხვა მასალები და ნაკეთობანი. სადურგლო ნაკეთობანი უნდა ვამზადოთ საქარხნო წესით, რათა ისინი კარგი ხარისხისა და სტანდარტული იყოს.

მე მომახსენეს, რომ იმ სახსრებსა და მექანიზმებსაც კი, რომლებიც გათვალისწინებულია სამშენებლო ბაზების შესაქმნელად ყაზახეთსა და ციმბირში, ადგილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამწუხაროდ, სწორად არ იყენებენ. ისინი ამას იყენებენ სხვა სახეობათა სამუშაოებისათვის თავიანთ სახალხო მეურნეობის საბჭოებში. ეტყობა, იქაც საჭიროა სახსრები და მექანიზმები მშენებლობებისათვის. მაგრამ ისინი არ დაუშვებდნენ ძალებისა და სახსრების დაქსაქსვას, კარგად რომ ესმოდეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამშენებლო ბაზებს მრეწველობის განვითარებისათვის ციმბირსა და ყაზახეთში. აქ საკმარისი მუშახელი არ არის და საერთოდ არ შეიძლება კუსტარულობა, რადგან კუსტარულობამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს იმ დიდი ამოცანების შესრულებას, რომლებიც პარტიის XXI ყრილობამ დაუსახა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებს.

მტკიცედ უნდა ვგმობდეთ და ვსჯიდეთ იმათ, ვინც სწორად არ იყენებს გამოყოფილ სახსრებს. ეტყობა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამშენებლო ბაზების შესაქმნელად, გამოყოფილი როგორც ფულადი, ისე მატერიალური სახსრები განისაზღვრებოდეს ცალკეული გრაფით. ისე რომ ცოცვა, დახნა, ბრედიხინა და სხვები".

სულ 26 ხელმოწერა. **(ტაში).**

შესაძლებლობა არა მაქვს ყველა წერილი და დეპეშა წავიკითხო. ბევრია წერილი და დეპეშა საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან, რომლებიც კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. ყველა ამ წერილისა და დეპეშის ავტორები დიდი პატივისცემისა და მადლობის ღირსი არიან. **(ტაში).**

ჩვენს თათბირზე გამოვიდა ყაზახეთის სამედიცინო ინსტიტუტის მეექვსე კურსის სტუდენტი კომკავშირელი რიმა აბდრახიმოვა. მან თქვა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ოთხასმა სტუდენტმა გამოთქვა სურვილი წავიდნენ სამუშაოდ ყამირის რაიონებში. ეს კარგი გადაწყვეტილებაა, სასიამოვნოა ყამირის გმირ დამპყრობთა მხარდამხარ შრომა.

რა შესანიშნავად გამოვიდა აქ ჯამბულის სახელობის სამუალო სკოლის მოსწავლე კომკავშირელი აიკენ სარიევა. კარგი ბედი აქვთ მის მეგობრებს, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავიდნენ მშობლიურ კოლმეურნეობაში. მან, კერძოდ, ილაპარაკა აგრეთვე დიდი აკინის ჯამბულის ბადაშზე ბიბიჟარ ამრალიევაზე, რომელიც მეცხვარეობის ფერმაში შრომობს.

ვუსურვოთ ნორჩ პატრიოტებს კარგად ისწავლონ, აირჩიონ სწორი შრომითი გზები, რომლებსაც მივყავართ ბედნიერებისაკენ, კომუნიზმისაკენ! **(ტაში).**

ამხანაგებო, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებო, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებო, ბრიგადირებო, აგრონომ მ ე ბ ო, თქვენ სწორად უკრავთ ტაშს ჩვენი ახალგაზრდობის ასეთ მისწრაფებას. მაგრამ თქვენ მათს მისწრაფებას მარტო ტაშით კი ნუ შეხვდებით, არამედ როცა ისინი თქვენთან სამუშაოდ ჩამოვლენ, შეხვდით კარგი, გულისხმიერი მოპყრობით, სწორად, გონივრულად გამოიყენეთ თვითეული ჩამოსული ახალგაზრდის მიდრეკილება და უნარი. მათ დიდი მისწრაფება აქვთ, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამოუცდიათ თავიანთი ძალონე და შესაძლებლობანი, მოწოდება ამა თუ იმ პროფესიისადმი. ამიტომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების მოვალეობაა დაეხმარონ მათ აირჩიონ სპეციალობა. ხოლო მთავარია — უნდა შეუქმნან სამუშაოზე ჩამოსულთ ყველა პირობა ნორმალური ცხოვრებისა და ნაყოფიერი შრომისათვის. **(ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენს თათბირზე, ისევე როგორც ყველა სხვა ზონალურ თათბირზე, დაისახა კარგი პრაქტიკული ღონისძიებანი, ნაკისრია კონკრეტული ვალდებულებანი მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ახლა საქმეს უნდა შევუდგეთ, ამხანაგებო, გავშალოთ მებრძოლური ორგანიზატორული მუშაობა ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის!

ყველა საბჭოთა ადამიანის წინაშე, ყაზახეთის მშრომელთა წინაშე დიდი და რთული ამოცანები დგას. ზოგს, ვინც მეთვალყურის პოზიციიდან განსჯის სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაძლებლობებს, შეიძლება მოეჩვენოს, რომ ამ ამოცანების შესრულება შეუძლებელია. მაგრამ ვინც კარგად იცის საქმე, ვისაც შეუძლია ფართოდ აზროვნება და პერსპექტივის დანახვა, ვინც უნარიანად ეყრდნობა მეცნიერებასა და მოწინავე გამოცდილებას, ის, რასაკვირველია, დარწმუნებულია ჩვენს გამარჯვებაში.

ასეთი ადამიანები, გაბედულად რომ ეგებებიან ახალ ამოცანებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია გვისახავს,—მილიონობით გვყავს. მათ ეყოფათ ძალა და გამოცდილება იმისათვის, რომ აიღონ ახალი ზღუდეები სოფლის მეურნეობის განვითარებაში. **(ტაში).**

დღეს ყაზახეთის მშრომელთა წინაშე ისახება განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანა: კიდევ უფრო გაადიდონ მარცვლეულის წარმოება, მტკიცედ და ენერგიულად განავითარონ მეცხოველეობის ყველა დარგი, მისცენ ჩვენს ქვეყანას იაფი მარცვლეული და ხორცი. სასიხარულოა, რომ ეს ამოცანა კარგად ესმით თქვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს. იგი, როგორც იტყვიან, გულში ჩასწვდა მათ, აიძულა უფრო სრულად გაითვალისწინონ თავიანთი შესაძლებლობანი, გამოავლინონ რეზერვები და ჩააყენონ ჩვენი საერთო საქმის სამსახურში.

როცა ვლაპარაკობ რეზერვებზე, თქვენს შესაძლებლობებზე, ამით როდი იხსნება საკითხი გარეული მატერიალური დახმარებისა, მანქანების და მოწყობილობის სახით, რომელიც საჭიროა მივცეთ ყაზახეთს სასოფლო-სამეურნეო წარმოების, განსაკუთრებით მეცხოველეობის ახალი ალმავლობისათვის. მაგრამ, ამხანაგებო, სწორი არ იქნებოდა იმედი დაგვიმყარებინა მარტო ამ ბერკეტებზე და არ გაგვუმჯობესებინა საქმე თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, რაიონში, თვითეულ ოლქში, რესპუბლიკაში. მე ვიტყოდი, რომ სხვისი შემყურეობის განწყობილება მხოლოდ ადუნებს ნებისყოფას. ხშირად, მაშინაც კი, როცა აქვთ დიდძალი ტექნიკა და საშუალებანი, ასეთი განწყობილებით დაავადებულ ადამიანებს არ შეუძლიათ მთლიანად მიიღონ ტექნიკისაგან ყველაფერი.

აი რატომ არის, რომ დღეს თქვენს თათბირზე ერთხელ კიდევ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვეწეოდეთ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას მასებში, ვუნერგავდეთ ადამიანებს ახლისადმი, მოწინავისადმი სიყვარულს, ვუვითარებდეთ სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს პირადი პასუხისმგებლობისა და ინიციატივის გრძნობას. სოციალისტური წყობილება სწორედ იმით გამორჩეულა, რომ იგი ადამიანებს ზრდის განუწყვეტელი ძიების სულისკვეთებით და ნაკლოვანებებისა და დოყლაპიობისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. რომ იგი უსაზღვრო შესაძლებლობებს ქმნის წინსვლისათვის.

კომუნიზმის მშენებლობა განუწყვეტელი წინსვლა და ახალ-ახალი ზღუდეების აღება ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

საბჭოთა ხალხი აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას — სოციალიზმის უმაღლეს ფაზას. მაგრამ თვით კომუნისტური საზოგადოება არ იქნება საზოგადოებრივი ცხოვრების გაყინული ფორმა. კომუნისტური ხვალინდელი დღის ადამიანები შრომობენ და იზრდებიან უკვე დღეს და არ მოისურვებენ იყონ და არც იქნებიან გულხელდაკრეფილნი. საზოგადოების კეთილდღეობისათვის შრომა ადამიანის უმაღლესი სიხარულია. ყოველთვის ქმნიდე რამეს, აღმენებდე ბუნების ახალ საიდუმლოებებს და აყენებდე ბუნების სიმდიდრეს ადამიანის სამსახურში — განა ეს არ არის ცხოვრების აზრი?!

იმ ადამიანებს, რომლებიც ყამირის ათვისებას ეწევიან, რომლებიც იხდუსტრიულ გიგანტებს აშენებენ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის ახალ, მოუწყობელ რაიონებში, ძლიერ დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში, იმ საქმეში, რომ გადავჭრათ მთავარი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს.

თქვენ, ალბათ, გაზეთებში წაიკითხავდით, თუ რა შეშფოთებით განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების შრომის მინისტრმა, ფოლადის გამოდნობის მხრივ საბჭოთა კავშირმა ან უკვე გაუსწრო, ანდა ეს-ეს არის გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებსო.

ეს კარგია, ამხანაგებო! **(ტაში).** წარმოგიდგენიათ, რარიგ გაიხარებს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, როცა გავუსწრებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების მხრივაც. **(ტაში).** ეს იქნება არა მარტო ეკონომიური, არამედ აგრეთვე უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ახალი გამარჯვება და მარტოოდენ ჩვენი ქვეყნისთვის კი არა. დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს — ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების მხრივ — ეს იმას ნიშნავს, რომ ერთხელ კიდევ ცხადყოთ სოციალისტური წყობილების დიადი ძალა. ეს იქნება ისტორიული გამარჯვება, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრების გამარჯვება. **(ტაში).**

ასეთი დიადი მიზნის გამარჯვებისათვის ღირს კარგად ვიშრომოთ, ამხანაგებო!

ჩვენი მიზანი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაა. ჩვენ ბედნიერი ვიქნებით მაშინ, როცა ავაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას. ჩვენ ბედნიერი ვიქნებით მაშინ, როცა ყველა ქვეყნის ხალხები დადგებიან მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ და მთელ დედამიწაზე იფრიალებს კომუნისტური დროშა! **(მჭუხარე ტაში).**

კომუნიზმძლ; მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ კომუნისტები თავიანთ პროპაგანდაში იჩენენენ კომუნიზმის ბატონობას მთელ მსოფლიოში.

კომუნიზმის გამარჯვებისადმი ურყევი რწმენა კომუნისტთა დაჩემება კი არა, მათი ღრმა რწმენაა, რომელიც ემყარება მეცნიერულ თეორიას ადამიანთა საზოგადოების განვითარების შესახებ. კარლ მარქსმა შექმნა მეცნიერული კომუნიზმის თეორია. ვ. ი. ლენინმა გააღრმავა და განავითარა ეს რევოლუციური თეორია, შექმნა კომუნისტთა დიადი პარტია, რომელმაც დარაზმა ხალხები და აბორიგენებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს. **(მჭუხარე ტაში).**

ბურჟუაზიული იდეოლოგები, რომლებიც მონოპოლისტთა ინტერესებს იცავენ, დიდი ხანია ჩხავიან. მარქსიზმი მოძველდა, იგი უარყოფილიაო. მაგრამ საბჭოთა კავშირი — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, ევროპისა და აზიის სხვა სოციალისტური ქვეყნები, რომლებსაც დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებაში, — განა ეს არ არის დამადასტურებელი მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი შემოქმედებითი ძალისა! განა ეს არ არის მეცნიერული კომუნიზმის თეორიის გამარჯვება ცხოვრებაში, პრაქტიკაში! არა, ბატონო კაპიტალისტებო, ვერ ჩაკლავთ იმას, რაც ცოცხლობს და ვითარდება, ვერ უარყოფთ იმას, რასაც მომავალი ეკუთვნის. მომავალი კი კომუნიზმისაა! **(მჭუხარე ტაში).**

კომუნისტები არავის არ აშინებენ, არავის არ ემუქრებიან ომით. ჩვენი დიადი მიზნისაკენ ომის გზით როდი მივდივართ. პირიქით, ჩვენ გვინდა და ვიბრძვით იმისათვის, რომ სახელმწიფოებს შორის და ხალხებს შორის არ იყოს ომები, ჩვენ მოვითხოვთ საყოველთაო და სრულ განიარაღებას და მივიღებთ განიარაღებისადმი კონტროლის ყოველგვარ პირობას, თუ დასავლეთის სახელმწიფოები მიიღებენ ჩვენს წინადადებებს განიარაღების შესახებ. **(ტაში).**

შეიძლება თქვან, ყოველივე ეს აქ რა შუაშიაო, რატომ უკავშირებს ხრუშჩოვი კომუნიზმისათვის ბრძოლას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასო. დიახ, ამხანაგებო, ბრძოლა ხორბლისა და სიმინდის უხვი მოსავლისათვის, ხორცის, მატყლის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის — ეს არის ბრძოლა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, კომუნიზმის მშენებელი ჩვენი საზოგადოების მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვისათვის. თქვენ, სოფლის მეურნეობის მშრომელები, დიდ საქმეს აკეთებთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის განხორციელებისათვის, რადგან ეს თეორია ახლა მარტო მეცნიერული კომუნიზმის თეორეტიკოსთა შრომები როდია. იგი იმ ასეულ მილიონობით ადამიანთა მოქმედებაა, რომლებიც უზარმაზარ სივრცეებზე აშენებენ ახალ ცხოვრებას, აშენებენ კომუნიზმს. და ჩვენი გზით, ჩვენი გამოცდილების საფუძველზე წინსვლას შეუერთდებიან სულ უფრო და უფრო მეტი ხალხები, რომლებიც ესწრაფვიან უკეთეს ცხოვრებას, კაცობრიობის გზა კი უკეთესი ცხოვრებისაკენ ერთია — ეს არის გზა კომუნიზმისაკენ! **(მჭუხარე ტაში).**

ვუსურვებ ყველა თქვენგანს, თქვენი სახით კი ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის ყველა მშრომელს, რომელთა წარმომადგენლები მონაწილეობენ ამ თათბირში, შემდგომ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს დიად კომუნისტურ პარტიას! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებს — კომუნიზმის მშენებლებს! **(ხანგრძლივი ტაში).**

კომუნისტური პარტიის დროშით წინ, ამხანაგებო, ახალი გამარჯვებების და ახალი მიღწევებისაკენ, კომუნიზმისაკენ! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან, შეძახილები: „გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!" „ვაშა!").**

საქმის წარმატებას წყვეტს ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა მასებში!

ძვირფასო ამხანაგებო! დიად, ისტორიულ საქმეებს ასრულებს ჩვენი ხალხი, რომელიც მიდის დიდი ლენინის მიერ დასახული გზით.

ყოველივე ის, რაც გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, გაკეთდა შრომისმოყვარე საბჭოთა ხალხმა ჩვენი ლენინური კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით. **(მჭუხარე ტაში).**

პარტია და ხალხი ერთსულოვანი არიან. ლენინის იდეები, პარტიის იდეები ხალხის ძირეული ინტერესების გამომხატველი იდეებია. საბჭოთა ადამიანები ხედავენ, რომ კომუნისტურ პარტიას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა მშრომელთა ინტერესებისა, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისა. აი ამიტომ პარტიის მოწოდებანი ესოდენ უაღრესად ცხოველ გამოხმაურებას პოულობენ საბჭოთა ადამიანების გულში.

სად, რომელ არასოციალისტურ ქვეყანაში შეიძლება გამოვლინდეს ასეთი მაღალი შეგნებულობა, თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, მასობრივი შრომითი გმირობა, როგორც ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში!

ათასობით პატრიოტული წერილი მოსდის პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას საბჭოთა ადამიანებისაგან, რომლებიც აცხადებენ, რომ მზად არიან იშრომონ ჩვენი მშენებლობის ყველაზე დიდმნიშვნელოვან უბნებზე, ისეთ რაიონებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი საცხოვრებლად. ამ წერილებს აუღელვებლად ვერ წაიკითხავ. ისინი იწვევენ ჩვენი საჭელოვანი ხალხისათვის, ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის სიამაყის გრძნობას. **(ტაში).**

მინდა წავიკითხო ასეთი წერილები და დეპეშები. ისინი ბევრია, ამიტომ მხოლოდ ზოგიერთ მათგან მოვიყვან.

— „რადიოთი თქვენი გამოსვლა რომ მოვისმინე, მტკიცედ გადავწყვიტე ვიმუშაო, ვიცხოვრო ყამირ მიწებზე. ლენინგრადში გავიარე პედაგოგიური პრაქტიკა, ცხოვრების პრაქტიკა შევიძინე ყამირზე და ციმბირის ექსპედიციებში მოსავლის აღების დროს. მზად ვარ დაუყოვნებლივ გავემგზავრო. ინსტიტუტს დაუსწრებლად, დავამთავრებ. კომკავშირული სალამით

სტანისლავ კონდრატენკო — გერცენის პედინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი". **(ტაში).**

მადლობას გიძღვნით, ამხ. კონდრატენკო, გულისხმიერებისათვის. მაგრამ მაინც გირჩევთ — დაამთავრეთ ინსტიტუტი, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ სიამოვნებით მიგიღებენ ყამირზე და გაუხარდებათ თქვენი ჩასვლა. სულაც არ არის საჭირო ინსტიტუტის მიტოვება. ერთი წლის შემდეგ შეძლებთ თქვენი ცოდნა და ძალ-ღონე ყამირის მიწებზე გამოიყენოთ. **(ტაში).**

აი კიდევ ერთი წერილი.

„ყამირის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე თქვენს სიტყვაში გამოთქმული მოწოდებით აღფრთოვანებულმა, ჩვენ, 30 კომკავშირელმა — ლენინის სახელობის საშუალო სკოლის უკანასკნელი კლასის მოსწავლეებმა, გადავწყვიტეთ მე-10 კლასის დამთავრების შემდეგ დავრჩეთ ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებში ტრაქტორისტებად, კომბაინერებად, მწველავებად, მშენებლებად, რათა ჩვენი მცირედი შრომით დავეხმაროთ ჩვენს ხალხს მალე დაეწიოს და გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში, რათა მთელი ძალღონე მოვახმაროთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს, რადგან კომუნიზმი მსოფლიოს ახალგაზრდობაა და იგი ახალგაზრდებმა უნდა ააგონ.

ალმა-ატის ოლქის ალაკულის რაიონის ლენინის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეები". **(ტაში).**

„ჩვენ, ქალაქ ტალდი-კურგანის უშინსკისა და გორკის სახელობის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდების პასუხად მტკიცედ გადავწყვიტეთ სკოლის დამთავრების შემდეგ წელს წავიდეთ სამუშაოდ ყამირის მხარეში და გავხდეთ მექანიზატორები, მწველავები, მეღორეები, მშენებლები და პირობას ვიძლევით, რომ ღირსეულად გავამართლებთ მაღალ ნდობას, რომელიც ჩვენ გამოგვიცხადეს.

ალიმბაევა, გრინიოვა, ფედორენკო, რომ შევამციროთ კეთილმოწყობაზე — წყალსადენზე, კანალიზაციაზე, ელექტროქსელზე, გზებსა და ტროტუარებზე გასაწევი ხარჯები. ეს აგრეთვე უკეთეს პირობებს შექმნის მაღაზიების, სკოლების, კლუბების, საავადმყოფოების განლაგებისათვის.

ზოგიერთ რაიონში, სადაც მუშახელი არა ჰყოფნით, ახლანდელ პირობებში, როგორც გამოსავალი, შეიძლება ვურჩიოთ ასეთი ღონისძიება: დაიდგას კარკასი, კედლები ამოივსოს ლელის ან ნამჯის ფილებით, გაკეთდეს კარფანჯრები, ხოლო დანარჩენი სამუშაო — შელესვა და სხვა მარტივი სამუშაოები შეასრულონ იმათ, ვინც ბინას იღებს. ვფიქრობ, რომ ისინი ამაზე დათანხმდებიან.

აქ განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ სახლები და სხვა ობიექტები მხოლოდ ტიპური პროექტებით შენდებოდეს. თქვენ საკმარისი ძალები მოგიპოვებათ, რათა შეიმუშაოთ ასეთი პროექტები. მე მომეწონა საპროექტო წინადადებანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა კარკასული შესრულებით ორ- და სამ სართულად, ისე რომ ბინები განლაგებული იყოს ორ სართულში. და ყველაზე მეტად მომეწონა სამსართულიანი სახლები. პროექტებში უნდა გავითვალისწინოთ ბინები სხვადასხვა ოჯახისათვის — დიდი და პატარა ოჯახებისათვის. მაგრამ, ეტყობა, უკეთეს მდგომარეობას მოიპოვებს რკინაბეტონისა და პანელის ორ-სამსართულიანი სახლების მშენებლობა, რომლებსაც ექნება ლელის ან ნამჯის ფილების ან ფიბროლიტის სათბილებელი.

ყველაზე მნიშვნელოვანია შეიქმნას ბაზა მშენებლობისათვის. იმისათვის, რომ ვაშენოთ ინდუსტრიული მეთოდებით, ვაშენოთ სწრაფად და კარგად, უნდ

ახალი მეცნიერული გმირობა

ვარშავა, 26 მარტი. (საკადესი). მეხუთე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდის გაშვება და მისი დაბრუნება ნავარაუდევ რაიონში პოლონეთის მშრომელებს მიაჩნიათ საბჭოთა ხალხის ახალ მეცნიერულ გმირობად, კოსმოსურ სივრცეში ადამიანის გაფრენის მომზადების კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად.

„სსრ კავშირი კოსმოსში ადამიანის გაფრენის ზღურბლზეა", „არავის ეჭვს არ იწვევს, რომ პირველი ადამიანი, რომელიც კოსმოსში გაფრინდება, საბჭოთა მოქალაქე იქნება", — ხაზგასმით აღნიშნავენ გაზეთები.

ბევრი ექსპერიმენტი, რომლებიც დაკავშირებულია დედამიწის ორბიტაზე ვეებერთელა კოსმოსური ხომალდების გაშვებასა და დედამიწაზე განკარგულებით მათ დაბრუნებასთან, აღნიშნავენ გაზეთები, მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კოსმოსში ადამიანის მომავალი გაფრენის უსაფრთხოებას.

ბერლინი, 25 მარტი. (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიომ დღეს შეწყვიტა თავისი ჩვეულებრივი გადაცემები, რათა გამოეცხადებინა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი შესანიშნავი გმირობა — მეხუთე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდის წარმატებით გაშვება და დაშვება. რადიომ გააფრთხილა მსმენელები, რომ ახალი ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გადასცემს მას.

ბერლინი, 26 მარტი. (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღეკანდელი გაზეთები დაწვრილებით ბეჭდავენ საკადესის ცნობის შინაარსს საბჭოთა თანამგზავრი ხომალდის შესახებ. „პირდაპირი კურსი ადამიანის გაფრენისა კოსმოსში", — ასე დაახასიათა დღეს გაზეთმა „ბერლინერ ციტუნგმა" ცდები, რომლებიც საბჭოთა კავშირში წარმოებს კოსმოსური სივრცის ასათვისებლად.

მეხუთე თანამგზავრი ხომალდის წარმატებით გაშვება წერს გაზეთი, არის ერთ-ერთი ექსპერიმენტი იმ სერიიდან, რომელიც საბჭოთა კავშირმა გამოაცხადა კოსმოსურ სივრცეში ადამიანის გაფრენის მოსამზადებლად. რაც განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისი უზრუნველყოფილი იქნება კოსმონავტის უსაფრთხობა.

გაზეთი აღნიშნავს საბჭოთა თანამგზავრი ხომალდების, ერთიმეორეზე მიყოლებული გაფრენის სწრაფ ტემპსა და წარმატებითს შედეგებს.

ბუდაპეშტი, 26 მარტი. (საკადესი). უნგრეთის პრესა კოსმოსში ადამიანის მალე გაფრენის მომამზადებელს უწოდებს მეხუთე თანამგზავრი ხომალდის გაშვებას საბჭოთა კავშირში და მის წარმატებით დაბრუნებას დედამიწაზე.

გაზეთი „ნეპსაბადშაგი" თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობაში ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა მეცნიერება უკვე უშუალოდ ამზადებს ადამიანის გაფრენას კოსმოსში.

პარიზი, 26 მარტი. (საკადესი). ცნობა მეხუთე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდის წარმატებით გაშვებისა და დედამიწაზე დაბრუნების შესახებ განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს საფრანგეთში, კვირის გაზეთები პირველ გვერდზე ვეებერთელა სათაურებით ბეჭდავენ ცნობას საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი თვალსაჩინო გამარჯვების შესახებ.

გაზეთები ბეჭდავენ საკადესის ცნობის შინაარსსა და თავიანთი მოსკოველი კორესპონდენტების სტატიებს ამ თემაზე. „მეხუთეჯერ უშვებენ, — წერს გაზეთი „ლუმანიტე-დიმანში", ბუთტონამდე სიმძიმის ხომალდს ასობით კილომეტრზე დედამიწიდან მოცემული ორბიტით და მესამეჯერ ბრუნდება და ეშვება დედამიწაზე წინასწარ დანიშნულ ადგილას და ჩამოპაჟავს წაყვანილი ცოცხალი არსებანი".

„ბელეის", „სტრელისა" და „ჩერნუშკის" შემდეგ „ზვიოზდოჩკა", — აცხადებს გაზეთი „უურნალ დიუ დიმანში", — გახდა სიმბოლო ახალი დიდებისა კოსმოსში".

დელი, 26 მარტი. (საკადესი). ცნობილი ინგლისელი მეცნიერი პროფესორი ჯონ ბერნალი, რომელიც ესწრება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიას დელიში, საკადესის კორესპონდენტთან საუბარში მიესალმა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ გამარჯვებას კოსმოსის დაპყრობაში. „ეს ექსპერიმენტი, — თქვა პროფესორმა ბერნალმა, — მოწმობს საბჭოთა კავშირის მუდმივ პროგრესს გადამწყვეტი ნაბიჯის — ადამიანის კოსმოსში გაგზავნის მომზადების საქმეში.

ნიუ-იორკი, 25 მარტი. (საკადესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებმა გავრცელეს თავიანთი კორესპონდენტების „სასწრაფო" ცნობები იმის შესახებ, რომ გაშვებულია მეხუთე საბჭოთა თანამგზავრი ხომალდი ორბიტაზე დედამიწის გარშემო და რომ იგი წარმატებით დაეშვა საბჭოთა კავშირის ნავარაუდევ რაიონში.

ცნობებში მოყვანილია აგრეთვე ადრე გაშვებული საბჭოთა თანამგზავრი ხომალდების მონაცემები.

ტოკიო, 26 მარტი. (საკადესი). ახლოვდება ადამიანის საპლანეტათშორისო ფრენის განხორციელება, — ასე გამოუხმაურა დღეს გაზეთი „მაინიტი" საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ ბრწყინვალე წარმატებას. შეიძლება ჩავთვალოთ, აღნიშნავს გაზეთი, რომ კოსმოსური ხომალდის დედამიწაზე დაბრუნების უსაფრთხოების გარანტიასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები გადაჭრილია.

გაზეთი „ტოკიო სიმბუნი" აღნიშნავს მოკლე ვადას, რომელიც დასჭირდათ საბჭოთა მეცნიერებს, რომ მეოთხე თანამგზავრის შემდეგ გაეშვათ ახალი ხომალდი. კოსმოსში ადამიანის გაფრენის მზადება, დაასკვნის გაზეთი, მთავრდება.

ლაოსელი პატრიოტები ფიცს დებენ იბრძოლონ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომელსაც იმპერიალისტები ემუქრებიან. ფოტო ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოსი.

ამნისტია ესპანელ პოლიტპატიმრებს!

პარიზი, 24 მარტი. (საკადესი). აქ მუშაობა დაამთავრა დასავლეთ ევროპის კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა ესპანელი პოლიტიკური პატიმრებისა და პოლიტიკური ემიგრანტების ამნისტიის საკითხს.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია ესპანელი პოლიტიკური პატიმრებისა და პოლიტიკური ემიგრანტების მდგომარეობის შესახებ, მოიწონეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მობდეს აქტივიზაცია მოძრაობისა პოლიტიკური ამნისტიის მალე მიღწევისათვის ესპანეთში.

კონფერენციის დელეგატები წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისადმი ყურადღებას აქცევენ ფრანკისტულ ტერორს ესპანეთში და მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განიხილოს გადაუდებელი საკითხი ესპანეთის მდგომარეობის შესახებ.

არჩევნები უგანდაში

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკადესი). ინგლისის კოლონია უგანდის ადმინისტრაციულ ცენტრ კამპალაში გამოცხადდა უგანდის საკანონმდებლო საბჭოს არჩევნების შედეგები. არჩევნები გაიმართა 24 მარტს. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გამარჯვება არჩევნებში მოიპოვა დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც ამრიგად უზრუნველყო თავისთვის მეტი წილი ადგილები საბჭოში.

ამერიკელ ლეგენდარული ასამბლეის სხდომაზე ბიბლიოთეკა

ნიუ-იორკი, 25 მარტი. (საკადესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა განაგრძობდა კონგოს მდგომარეობის საკითხის განხილვას. პირველი გამოვიდა სენეგალის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტიამი. მან დაგმო ლუმუმბას მკვლელობა და განაცხადა, რომ გაერთიანებული ერები მოვალე იყო უზრუნველეყო პირი დაცვა. ამავე დროს სენეგალის დელეგატმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები გაიყვანონ კონგოდან.

ალბანეთის წარმომადგენელმა რ. მალილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კოლონიურ სახელმწიფოებს ზემოქმედება რომ მოეხდინათ ბელგიაზე, ეს უკანასკნელი დიდი ხანია შეწყვეტდა თავის დანაშაულებრივ მოქმედებას კონგოში. მიუკვანა რა იმის ფაქტები, რომ ჰამარშელდი აშკარად ხელს უწყობდა ბელგიელ კოლონიზატორებსა და მათ მარიონეტებს, მალილემ განაცხადა, რომ ალბანეთის თავრობა არ ცნობს მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნად. მან აღნიშნა, რომ მისი დელეგაცია მხარს უჭერს საბჭოთა წინადადებას კონგოს მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ.

მალის დელეგატმა დიალომ განაცხადა, რომ მის ქვეყანაში ცნობს ანტუან გიზენგას მთავრობას, როგორც კონგოს ერთადერთ კანონიერ აღმასრულებელ ხელისუფლებას და ყოველი ღონისძიებით გაუწევს მას დახმარებას კონგოელი ხალხის დამოუკიდებლობის ინტერესებისათვის.

იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა კ. პოპოვიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად კონგოს მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე გასული წლის ივლისში. ბელგიის ხარვეზი, თქვა პოპოვიჩმა, ამ ქვეყნის სიძნელეთა მთავარი წყაროა. დასასრულ მან წინადადება შეიტანა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაგმოს ბელგია გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა ჯიუტად უგულებელყოფისათვის და დაანწესოს ზუსტი ვადები ბელგიის მთელი სამხედრო და ნახევრად სამხედრო პირთა გაყვანისა ამ ქვეყნიდან.

აფრიკის ცხტრალური რესპუბლიკის დელეგატის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც დაიცვა ბელგიელი მარიონეტები კონგოში, სხდომა დაიხურა.

სიმართლის ხმა გმოგს ჰამარშელდს

ნიუ-იორკი, 25 მარტი. (საკადესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა განაგრძობდა კონგოს მდგომარეობის საკითხის განხილვას. პირველი გამოვიდა სენეგალის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტიამი. მან დაგმო ლუმუმბას მკვლელობა და განაცხადა, რომ გაერთიანებული ერები მოვალე იყო უზრუნველეყო პირი დაცვა. ამავე დროს სენეგალის დელეგატმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები გაიყვანონ კონგოდან.

ალბანეთის წარმომადგენელმა რ. მალილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კოლონიურ სახელმწიფოებს ზემოქმედება რომ მოეხდინათ ბელგიაზე, ეს უკანასკნელი დიდი ხანია შეწყვეტდა თავის დანაშაულებრივ მოქმედებას კონგოში. მიუკვანა რა იმის ფაქტები, რომ ჰამარშელდი აშკარად ხელს უწყობდა ბელგიელ კოლონიზატორებსა და მათ მარიონეტებს, მალილემ განაცხადა, რომ ალბანეთის თავრობა არ ცნობს მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნად. მან აღნიშნა, რომ მისი დელეგაცია მხარს უჭერს საბჭოთა წინადადებას კონგოს მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ.

მალის დელეგატმა დიალომ განაცხადა, რომ მის ქვეყანაში გამოცხადებულია ბლოკის დღე პატრის ლუმუმბას ავადმყოფური მკვლელობის გამო. ეს მკვლელობა, თქვა დიალომ, იყო დასასრული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამცემლობისა კონგოში.

დიალომ მოიწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიიღოს პატიოსანი რეზოლუცია, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს ბელგიელთა ბატონობას კონგოში. მხოლოდ ამ შემთხვევაში, განაგრძო მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დამსახურებს აფრიკის ხალხთა პატივისცემას. დიალომ განაცხადა, რომ გენერალური ასამბლეის ყოველი, თუნდაც ყველაზე კარგი გადაწყვეტილება განწირული იქნება ჩასაფუშავად, თუ მის შესრულებას ხელს მოჰკიდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალგაზრდა სამდივნო. ამასთან დაკავშირებით დიალომ თქვა, რომ მისი დელეგაცია ხმას მისცემს წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს სტრუქტურის შეცვლის შესახებ.

მალის დელეგატმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა ცნობს ანტუან გიზენგას მთავრობას, როგორც კონგოს ერთადერთ კანონიერ აღმასრულებელ ხელისუფლებას და ყოველი ღონისძიებით გაუწევს მას დახმარებას კონგოელი ხალხის დამოუკიდებლობის ინტერესებისათვის.

კოლონიზატორთა მსხვერპლი ანგოლაში

აკრა, 24 მარტი. (საკადესი). პორტუგალიელ დამსჯელთა რაზმები დიქტატორ სალაზარის ბრძანებით ანადგურებენ ანგოლის აფრიკელ მოსახლეობას.

როგორც განის გაზეთი „ივინინგ ნიუსი" წერს, წარსულ კვირაში დამსჯელებმა განურჩეველად დაბომბეს სოფელ მადიმბალის მთელი მოსახლეობა, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები. ასეთივე ხვედრი ხვდა სოფელ მავიოოს მოსახლეობას.

აღწერს რა პორტუგალიელ კოლონიზატორთა საშინელ დანაშაულს ანგოლაში, „ივინინგ ნიუსი" წერს, რომ „ხალხით გაჭედილი საკონცენტრაციო ბანაკები თავისუფლდება ასობით პატიმართა დაოცვის გზით".

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი რეპრესიებით პორტუგალიელი კოლონიზატორები ცდილობენ ჩაახშონ ანგოლელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ჯარების გაგზავნა ანგოლაში განაგრძობს გაზეთი, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პორტუგალია ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს, უწინარეს ყოვლისა აფრიკელთა სისხლის ფასად, შეინარჩუნოს იქ თავისი კოლონიური რეჟიმი.

საბჭოთა ადამიანი მარშრუტს იღებს კოსმოსში

კონგო — კონგოელებს

ამერიკელი გენერალი ლაოსში

ნიუ-იორკი, 25 მარტი. (საკადესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ქაკ ნევარდი იუწყება, რომ შეერთებული შტატები ლაოსში გზავნიან კიდევ 16 ვერტმფრინავს ჯარების გადასაყვანად. ეს შესაძლებელს გახდის ბრძოლების ზონაში გადაყვანილ იქნეს 200 კაცი ერთბაშად.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გენერალმა ტომას ტრეპნელმა, ამერიკის შეერთებული შტატების მე-18 საჰაეროსადესანტო კორპუსის სარდალმა, რომელიც ექვემდებარება არმიის სტრატეგიულ სარდლობას ფორტ-ბრაგში (ჩრდილოეთ კაროლინა), ორ დღეს გაატარა ლაოსში და შეხვდა გენერალ ფუმი ნოსავანს.

ნიუ-იორკი, 25 მარტი. (საკადესი). საკადესის კორესპონდენტი **გ. ვასილიევი** იუწყება: დღეს ილინოისის შტატის ჩრდილოეთ ოლქის სასამართლომ ჩიკაგოში, რომელიც მოქმედებდა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრის რობერტ კენედის მითითებით, მოხსნა უაზრო „ბრალდებანი", რომლებიც წაყენებული ჰქონდა საბჭოთა მოქალაქეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატის თანამშრომელს ი. ი. მელეხს. იუსტიციის მინისტრის სიტყვით, ამერიკის მთავრობას მიაჩნია, რომ ასეთი გადწყვეტილება „შეესაბამება შეერთებული შტატების ეროვნულ და სტრატეგიულ-პოლიტიკურ ინტერესებს".

ამრიგად, პროვოკაციული „მელეხის საქმე" შეწყდა. ამერიკის ხელისუფლებამ ფაქტიურად ცნეს უნიადაგობა ყალბი „ბრალდებებისა", რომლებიც წაყენებული ჰქონდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატის საბჭოთა მუშაკს.

შეიძლება მხოლოდ გაიაროთ ოფლება გამოვიქცეთ იმის გამო, რომ საბოლოო ანგარიშით საღმა აზრმა გაიმარჯვა და პროვოკაციული საქმე, რომელიც ჯერ კიდევ ეიზენჰაუერის მთავრობის დროს დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გასამწვავებლად, საკმაოდ მოსპობილია.

პროვოკაციული საქმე შეწყდა

თავისუფლება აფრიკას!

აფრიკის ხალხთა III კონფერენცია

კაირო, 26 მარტი. (საკადესი). გუშინ საღამოს კაიროს უნივერსიტეტის საკტო დარბაზში გაიხსნა აფრიკის ხალხთა III კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილეობენ აფრიკის 37 ქვეყნის 69 ორგანიზაციისა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი მეთვალყურეები, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაცია.

კონფერენციამ თავმჯდომარედ აირჩია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე ფუად გალალი.

ფუად გალალმა წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა და გახსნა კონფერენცია.

შემდეგ წაკითხული იყო მრავალრიცხოვანი მისასალმებელი წერილები, რომლებიც კონფერენციამ მიიღო. მისასალმებელი წერილები გამოგზავნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენლაიმ, განის პრეზიდენტმა კ. ნკრუმამ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა და სხვებმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი წერილი დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და მრავალგზის შეიაპუეტინეს მჭეხარე, ხანგრძლივი ტაშით. ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმების იმ სიტყვებს, რომლებიც აღუთქვამენ კონფერენციის მონაწილეებს, რომ საბჭოთა ხალხი ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს იმას, რომ კოლონიურ ხალხთა სამართლიანი მოთხოვნები სავსებით დაკმაყოფილდეს, შეხვდნენ ხანგრძლივი ტაშით და შეძახილებით: „გაუმარჯოს აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობას!".

ვრცელი მოხსენება აფრიკის მეორე კონფერენციის შედეგად განვლილი წლის ამბების შესახებ გააკეთა კონფერენციის გენერალურმა მდივანმა ამდულაი დიალომ. მან წინადადება შეიტანა ფეხზე ადგომით პატივი სცეს კონგოს კანონიერი მთავრობის პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას ხსოვნას, რომელიც იმპერიალისტთა აგენტებმა მოკლეს. ამის შემდეგ კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა.

საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა კაიროში

კაირო, 25 მარტი. (საკადესი). დღეს აქ გაიმართა კაიროს საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონია.

გამოფენა გახსნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა, რომელმაც შემდეგ დაათვალიერა ზოგიერთი პავილიონი.

გამოფენაზე ყველაზე დიდი პავილიონებია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პავილიონები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევათა საჩვენებლად გამოფენაზე აშენებულია 3.000 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ორი პავილიონი, რომლებსაც აქვთ ღია მოედნები მთავარ პავილიონთან და გიზის დიდი პირამიდების რაიონში. აქ წარმოდგენილია 80-ზე მეტი ნმუშის ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვა მექანიზმები. მთელი რიგი სტენდები და ფოტოპანორები საბჭოთა პავილიონებში ასახავენ საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობასა და თანამშრომლობას, ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობას. დიდი ელექტროფიცირებული, არაბულ ენაზე გახმოვანებული რუკა ცხადყოფს სსრ კავშირის მრეწველობის განლაგებას, სპეციალური სტენდები მიძღვნილია შეიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისადმი. გამოფენა თითქმის ერთ თვეს გასტანს.

ტელეგრამა გვატყობინებს

პარიზი, 25 მარტი. (საკადესი). გუშინ ულენევაში დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეცნიერო კომიტეტის მეცხრე სესია. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, კარგად ინფორმირებული წყაროებით გამოირკვა, რომ დელეგატებმა ერთსულოვნად აღიარეს ის დიდი საფრთხე, რასაც უქმნის კაცობრობას ატომური რადიაცია — შედეგი ატომური გამოცდებისა, რომლებიც მთელ მსოფლიოში წარმოებს უკანასკნელ წლებში.

საბოლოო კომუნიკეში ნათქვამია, რომ კომიტეტმა შემდეგი სესიის თავმჯდომარედ აირჩია ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი გერჩიკი.

ლონდონი, 25 მარტი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვიენტიანიდან იუწყება, **უდონტანში (ტაილანდი), რომელიც 45 მილზე მდებარეობს ლაოსის დედაქალაქის ვიენტიანის სამხრეთით, ჩამოვიდა ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის სამასამდე ჯარისკაცი. აქვე ჩადიან ამერიკის ვერტმფრინავები.**

კენედისა და მაკმილანის შეხვედრა

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკადესი). დღეს კი-უესტში (ფლორიდის შტატი) ერთმანეთს შეხვდნენ პრეზიდენტი ჯ. კენედი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჰ. მაკმილანი, როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, შეხვედრაზე განიხილეს ძირითადად საკითხი ლაოსში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ნგა-დოის სახელმწიფო ხეტყის დამამზადებელ საწარმოში მომდინარეობს ხე-ტყის ჭრისა და წინასწარი დამუშავების მექანიზაცია. ტყის მჭრელები წარმატებით იყენებენ საბჭოთა მოტოხერხს „დრუჟბას". სურათზე: ხე-ტყის დამზადება ნგა-დოიში. ფოტო ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოსი.

გადადგა ბელგიის მთავრობა

ლონდონი, 27 მარტი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ბელგიის პრემიერ-მინისტრმა გ. ეისკენსმა მეფეს გადასცა განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ.

მოსკოვი. 27 მარტი. (ტელეფონით). დღეს მატჩ-რევანშის მონაწილეებმა თავიანთთვის, კორესპონდენტებისა და მაყურებელთათვის დამატებითი დასასვენებელი დღე მოაწყეს. მართლაც და რა უცნაურად გამოიყურება მეექვსე პარტია წინა შეხვედრებთან შედარებით.

ტალი თეთრებით თამაშობდა. როგორც ყოველთვის ბოტვინიკმა კაროკანის დაცვა აირჩია. მეხუთე სვლაზე მსოფლიოს ჩემპიონმა ახლებურად და თითქოს ენერგიულად ითამაშა ლაზიერით. მაგრამ მან ვერ შეძლო დანარჩენი ფიგურების ხელსაყრელად განლაგება. ხოლო მარტო ლაზიერს არ შეეძლო ბოტვინიკისათვის საშიში მუქარის შექმნა. თვით ბოტვინიკი სიამოვნებით დაიწყებდა იერიშს, მაგრამ არც მას ჰქონდა ამის საშუალება. 22-ე სვლიდან მეტოქეებმა პოზიცია სამჯერ გაიმეორეს და ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

ასეთი შედეგი მხოლოდ ბოტვინიკისათვის არის ხელსაყრელი. მას კვლავ მიუყვანს ანგარიში — 3,5:2,5. გარდა ამისა ექს-ჩემპიონი მომდევნო პარტიას თეთრებით თამაშობს, ამასაც ცხადია აქვს მნიშვნელობა.

რითიღა უნდა აიხსნას ტალის არასაკმაოდ ენერგიული თამაში? „ავი ენები" ამბობენ, რომ იგი ხვალ რიგიდან მოელის „მაშველ ძალებს" — მეუღლესა და ვაჟს.

რასაკვირველია შეუძლებელია მატჩ-რევანშის ოცდათხუთმეტე პარტიის ერთნაირი ძალით და შეუპოვრობით თამაში. დროებით შესვენება იმას მოასწავებს, რომ მომავალ პარტიაში უნდა ძოველოდეთ ბრძოლის გამწვავებას.

მორიგი მე-7 პარტია გაიმართება ოთხშაბათს, 29 მარტს.

ლ. აბრამოვი,
ოსტატი.



„სპარტაკის" პირველობაზე

მოსკოვი. 27 მარტი. დამთავრდა „სპარტაკის" საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები. ფინალში გავიდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოს, რსფსრ, უკრაინისა და ლატვიის გუნდები.

ხვალ ფინალის პირველ ტურში საქართველოს მოჭადრაკეები შეხვდებიან რსფსრ გუნდს.

ახალი ჩემპიონები კრივში

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების დასკვნითი შეხვედრები კრივში.

ტყავის ხელთათმანის ოსტატებმა რინგზე აჩვენეს მაღალტექნიკური ბრძოლა, გამამეღვენეს შესანიშნავი ფიზიკური მომზადება. ფინალურ ასპარეზობაში გამარჯვება და ჩემპიონის წოდება მოიპოვეს:

უმჩატეს წონაში — ვ. სტოლნიკოვმა, მჩატე წონაში — ს. სიეკომ, ქვემსუბუქ წონაში — ა. ზასუხინმა, მსუბუქ წონაში — გ. კაკოშკინმა, პირველ ქვესაშუალო წონაში — ა. ტუმინმა, მეორე ქვესაშუალო წონაში — რ. ტიმულისმა, პირველ საშუალო წონაში — ბ. ლაგუტინმა, მეორე საშუალო წონაში — ვ. პოპენჩენკომ, ქვემძიმე წონაში — ა. პიჩკოვმა, მძიმე წონაში — ა. აბრამოვმა.

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ ჩემპიონის ოქროს მედლები.

ტელეგრამა

პარიზი, 25 მარტი. (საკადესი). გუშინ ულენევაში დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეცნიერო კომიტეტის მეცხრე სესია. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, კარგად ინფორმირებული წყაროებით გამოირკვა, რომ დელეგატებმა ერთსულოვნად აღიარეს ის დიდი საფრთხე, რასაც უქმნის კაცობრობას ატომური რადიაცია — შედეგი ატომური გამოცდებისა, რომლებიც მთელ მსოფლიოში წარმოებს უკანასკნელ წლებში.

საბოლოო კომუნიკეში ნათქვამია, რომ კომიტეტმა შემდეგი სესიის თავმჯდომარედ აირჩია ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი გერჩიკი.

ლონდონი, 25 მარტი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ბელგიის პრემიერ-მინისტრმა გ. ეისკენსმა მეფეს გადასცა განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ.

ქართველ მოჭიდაოეთა გამარჯვება

საქართველოსა და რუმინეთის კლასიკურ ბოჭიდაოეთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგურმა შეხვედრამ, რომელიც გასულ კვირაღდეს გაიმართა ბუქარესტში, დიდი ინტერესი გამოიწვია.

რუმინეთის მოჭიდაოეთა ეროვნული ნაკრები ერთ-ერთი უძლიერესია არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოშიც.

უმჩატეს წონაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. პერეუულესკუმ მძიფრი ბრძოლის შემდეგ მცირე უპირატესობით გაიმარჯვა ზ. შეყრილაძესთან შეხვედრაში, მჩატე წონაში ო. ეგაძისა და ი. ჩერნეას ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა, ხოლო ქვემსუბუქ წონაში ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორმა მ. შულცმა მოუგო შ. სეფაშვილს.

პირველი გამარჯვება და პირველი ქულა საქართველოს გუნდს მოუტანა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა მ. ღუდუშაურმა (მსუბუქი წონა). მან ქულებით დაამარცხა დ. გეორგე. ქვეყანაშეალო წონაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. ქორიძემ სძლია მეტოქეს — ვ. ბულარკას და ჩვენს გუნდს კიდევ ერთი ქულა შესძინა. დ. გვახცელაძემ (საშუალო წონა) ქულებით დამარცხება განიცადა ი. ტარანუსთან.

ძლიერად ჩაატარეს შეხვედრები ქვემძიმე და მძიმე წონის მოჭიდაოეებმა ი. გველესიანმა და რ. აბაშიძემ. მათ დაამარცხეს ი. პოპოვიჩი და უ. მარტინესკუ.

ამრიგად, საქართველოსა და რუმინეთის ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში დამთავრდა საქართველოს მოჭიდაეეთა გამარჯვებით ანგარიშით 4,5 : 3,5.

გაზეთ „კომუნისტის" დღევანდელ ნომერს დამატების სახით თან ერთვის საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1961 წლის 1-ლი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილი.

რედაქტორი
დ. მეტლიშვილი.

„კომუნისტი" სპორტი

გროსმაისტერული ყაიმი

საკონტროლო მატჩები

„დინამო" — „პახტაკორი"

გასულ კვირაღდეს თბილისელმა მაყურებლებმა ტაშკენტის „პახტაკორთან" მატჩში „დინამოს" გუნდი იხილეს თავისი ძირითადი შემადგენლობით. დინამოელთა რიგებში იყვნენ — კოტრიკაძე, ჩობელი, თორაძე, ხოკოლავა, ხუნდაძე, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

ბრძოლა თბილისელთა უპირატესობით წარმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 4 : 0. ბურთები გაიტანეს მელაშვილმა, იამანიძემ, ბარქაიამ და ღოღობერიძემ.

###